ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

## ჩინეთიდან ჩამოსული 34 ქართველი საჩხერეში კარანტინზე გადაიყვანეს



გვ.2

18 თებერვლიდან
მიხეილ კვესელავა
ნიურნბერგის პროცესი
ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




ორშაბათი, 24 თებერვალი, 2020 №45 (8309) ფასი: 60 თეთრი

# „მერაბიშვილი სააკაშვილსა და მის გუნდს დაუპირისპირდება“



გვ.3

## მამუკა ტუსკაძე: „მისი რესურსი 5.000 ადამიანია“





## დავით ბერძენიშვილი: „ოცნება“ ხელებს გვიგრეხს და კომპრომისს გვთავაზობს“

გვ.4

„ეს არის ასლან აბაშიძის მეთოდებით ბრძოლა“



## თორნიკე შარაშენიძე: „ლევან იზორია გერმანიაში გააციმბირეს“

თორნიკე შარაშენიძე: „ვანო მერაბიშვილი ნაცმოძრაობას გააძლიერებს“

გვ.3

გვ.4

## რამაზ საყვარელიძე: „მერაბიშვილი პარტიებისთვის საფრთხობელაა“



## ბიძინა გუჯაბიძე: „გიგი უგულავა და ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტპატიმრები არ არიან“



„ოპოზიცია მოქმედი სისტემის დატოვებას შეგუებულია“

გვ.4

„გიორგი მარგველაშვილის დაბრუნება პოლიტიკაში მისი შეცდომაა“

გვ.2



## გომელაური, პრემიერთან ერთად, პოლიციელები დააჯილდოვა

ISSN 1987-9385

**5** მკვლელობა გუდაურში: მერაბ კობიაშვილს რამდენიმე ადამიანი ურტყამს

**6** მისტიკურმა სამეტრიანმა არსებამ აეროპორტის მახლობლად პანიკა გამოიწვია

**2** აჭარის ტელევიზიის დირექტორის მოადგილედ ჟურნალისტი ვახო ხუზმიაშვილი აირჩიეს

**6** უკრაინელი ბიზნესმენი ყოფილი მინისტრის აგარაკზე მოკლული იპოვეს

# ჩინეთიდან ჩამოსული 34 ქართველი საჩხერეში კარანტინზე გადაიყვანეს

22 თებერვალს ჩინეთიდან ჩამოსული საქართველოს მოქალაქეები საჩხერეში საავადმყოფოსთან არსებულ სასტუმროში გადაიყვანეს. სასტუმროში 24 ქალი, 2 ბავშვი და 8 მამაკაცია მოთავსებული.

საჩხერის სამედიცინო ცენტრის კლინიკური მენეჯერ მაია ხელაძის თქმით, მოქალაქეები სასტუმროში 2 კვირა დარჩებიან და, სიმპტომის გამოვლენის შემთხვევაში, კლინიკაში გადაიყვანენ.

– რადგან საავადმყოფოსთან არსებული სასტუმროა, მგონი, ამიტომ შეირჩა, რომ სიმპტომის გამოვლენის შემთხვევაში, სწრაფად და დროულად მივეხმაროთ. ჩვენს კლინიკას აქვს ბოქსირებული და ორმაგი დაცვით პალატები. ეს პირები ჩინეთშიც შემოწმდნენ და ჩვენთანაც აეროპორტში, ამ ეტაპზე რაიმე სიმპტომი არ აქვთ, მაგრამ ორკვირიანი კარანტინი მაინც არის გადაწყვეტილი. სამინისტროს მიერ შეირჩა ჩვენი კლინიკა, – განაცხადა მაია ხელაძემ.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს მოქალაქეებს ეპიდემიოლოგებისა და ექიმებისგან შემდგარი ჯგუფი დახვდა. აეროპორტში შემოწმებისას არც ერთ პირს კორონავირუსთან დაკავშირებული საეჭვო სიმპტომები არ დაუფიქსირდა.

# აჭარის ტელევიზიის დირექტორის მოადგილედ ჟურნალისტი ვახო ხუზმიაშვილი აირჩიეს



საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის მოადგილედ ჟურნალისტი ვახო ხუზმიაშვილი აირჩიეს.

იგი ბოლო პერიოდში სამაუწყებლო კომპანია „იბერიის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი იყო. აჭარის ტელევიზიაში შექმნილ სპეციალურმა კომისიამ არჩევანი 3 კანდიდატს შორის გააკეთა.

კონკურსში მონაწილეობას ამავე არხის ორი თანამშრომელი – ემზარ დიასამიძე და ფირუზ ბოლქვაძე მონაწილეობდნენ. კონკურსანტებთან გასაუბრება მედიისთვის დახურული იყო.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის მოადგილის პოზიციაზე ჟურნალისტი ნათია ზოიძე მუშაობდა, თუმცა ახლად არჩეულმა დირექტორმა ხელშეკრულება შეუცვალა და კონტრაქტიდან ამოიღო ის პუნქტები, რომლის მიხედვითაც ნათია ზოიძეს მაუწყებლის პოლიტიკის შემუშავება ევალებოდა.

# ირანის 4 მოქალაქეს კორონავირუსი არ დაუდგინდა




ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის დირექტორ თენგიზ ცერცვაძის განცხადებით, ინფექციურ საავადმყოფოში მოთავსებულ ირანის მოქალაქეებს კორონავირუსი არ აღმოაჩნდათ.

– ჩვენთან ირანის 4 მოქალაქე იმყოფება. ისინი 22 თებერვალს, გვიან საღამოს, მოიყვანეს. აქამდე ისინი დაკვირვების ქვეშ იყვნენ, ჩაუტარდათ რენტგენოლოგიური კვლევა. პნევმონია არც ერთს არ დაუდგინდა. ველოდებოდით გამოკვლევის შედეგებს, რომელიც ლუგარის ლაბორატორიაში შესრულდა. ნახევარი საათის წინ მივიღეთ პასუხი, რომ არც ერთ მათგანს ახალი კორონავირუსის ინფექცია არ დაუდასტურდა. ამჟამად ოთხივეს მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ტემპერატურის მატება არც ერთს არ აღენიშნება და ახლა მათ გასაწერად ამზადებენ, – განაცხადა ცერცვაძემ.

# საქასრიას ავტომაგისტრალზე დასაქმებული ჩინეთის 7 მოქალაქე ბორითის ობიექტზე გადაიყვანეს



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ საქასრიაში ავტომაგისტრალის სამშენებლო ობიექტზე შეყვანილი ჩინეთის 7 მოქალაქე სხვა ობიექტზე გადაიყვანეს.

ადგილზე დასაქმებული ქართველების პროტესტის შემდეგ კომპანიამ, სიტუაციის განმუხტვის მიზნით, ახლად ჩამოყვანილი ჩინელები ბორითში გადაიყვანა.

კომპანიის კოორდინატორ გოჩა კოპაძის თქმით, ქართველებმა იცოდნენ, რომ ჩინეთის მოქალაქეები ობიექტზე ერთი დღით იმყოფებოდნენ და სამედიცინო შემოწმებაც ჩატარებული ჰქონდათ, თუმცა მუშაობაზე უარი მაინც თქვეს. მისივე განმარტებით, ჩინეთის მოქალაქეები შემოწმებული არიან და კორონავირუსის სიმპტომები არ აქვთ.

კომპანიის წარმომადგენლის მტკიცებით, ისინი უსაფრთხოების მიზნით იზოლირებული იქნებიან.

გოჩა კოპაძე არ ადასტურებს მოქალაქეების გასაიდუმლოებული რეისით ჩამოყვანას და ამბობს, რომ შვიდმა ჩინელმა სამი ქვეყანა სხვა მოქალაქეებთან ერთად გაიარა და ჩვეულებრივი რეისით საქართველოში თურქეთიდან შემოვიდა.

# გომელაურმა, პრემიერთან ერთად, პოლიციელები დააჯილდოვა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან ერთად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პოლიციელის, ბუტა ანთაძის ოჯახს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილ პატრულ-ინსპექტორ ოთარ თავართქილაძესა და მის მეწყვილე ავთანდილ მჟავანაძეს ბინები და მედლები გადასცა.

ბუტა ანთაძის ოჯახს, პატრულ-ინსპექტორ ოთარ თავართქილაძესა და მის მეწყვილე ავთანდილ მჟავანაძეს ბათუმში ბინები საჩუქრად შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით გადაეცათ.

ასევე, მედლებით დაჯილდოვდნენ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსი მიხეილ დილიმაშვილი და პატრულ-ინსპექტორი ირაკლი იფშირაძე, მოქალაქე რაულ თებიძემ კი მადლობის სიგელი მიიღო.

– მივესალმები პატარა სტუმრებს, დიდი მადლობა, ქალბატონო ირმა, რომ მობრძანდით, პატარებთან ერთად, ძალიან დიდი პატივია ჩვენთვის. დღეს ჩვენ გვინდა, კიდევ ერთხელ გამოვხატოთ მადლიერება, თანადგომა და პატივისცემა ჩვენი გმირი პოლიციელების, მათი ოჯახების მიმართ.

მე მინდა, გავიხსენო 2018 წლის ინციდენტი, როდესაც ჩვენი თანამშრომელი ბუტა ანთაძე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა და ძალიან მძიმე შემთხვევა მოხდა, უმძიმესი, ასე ვიტყოდი. მოხდა მასზე თავდასხმა, რომლის დროსაც მიიღო უმძიმესი ჭრილობები. ყველაფერი გავაკეთეთ, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ შევძელით ბუტას გადარჩენა.

ეს ადამიანი ნამდვილად გმირია. ის შეეწირა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებასა და დაცვას. დიდი მადლობა.

ასევე, მინდა აქვე გავიხსენო ბათუმის ინციდენტი, როდესაც ჩვენი საპატრულო ეკიპაჟი გადაადგილდებოდა ბათუმში, ოთარ თავართქილაძე და ავთანდილ მჟავანაძე ასრულებდნენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას, როდესაც მოქალაქემ გააჩერა და თავს დაესხა ოთარ თავართქილაძეს, მიაყენა უმძიმესი ჭრილობები ყელისა და კისრის არეში. მოხდა თავდამსხმელის ადგილზე დაკავება. ბატონმა ავთომ ისეთი სწრაფი რეაქცია გამოავლინა და მაღალი პროფესიონალიზმი, რომ ვუყურეთ ამ კადრებს, ყველა გაკვირვებული ვიყავით. დიდი მადლობა მას.

ეს არ იყო მარტო ჩვენი თანამშრომლებისა და კოლეგების შეფასება, მოქალაქეებიც, ჩვენი მეგობრებიც გვეუბნებოდნენ – ასეთი რამ იშვიათად ხდება, ფილმებში გვინახავსო. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც ჩართული იყავით.

მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა იმ მოქალაქეს, ბატონ რაულს, რომ გამოიჩინეთ სამოქალაქო გმირობა, გვერდში დაუდექით პოლიციელს. რომ არა თქვენ, შეიძლება, ცუდად დამთავრებულიყო ეს ყველაფერი. ასევე, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა სამედიცინო პერსონალს, ვინც ჩაერთო, გადაუდებელი ოპერაცია ჩაატარა. ჩვენ ვიყავით, ვესაუბრეთ მათ, თქვეს, რომ ძალიან მძიმედ იყო ოთარი. დროულად მოყვანა... ის წუთები, ის წამები ყველაფერს ნიშნავდა. ყველას დიდი მადლობა.



მინდა დიდი მადლობა გითხრათ, ბატონო პრემიერო, რომ მობრძანდით. თქვენთვის შინაგან საქმეთა სამინისტრო ძალიან ახლობელია. ვიცი, როგორ პატივს სცემთ ყველა რიგით თანამშრომელს, ხელმძღვანელებს. ძალიან ბევრი გააკეთეთ ნამდვილად და ამას ვაგრძელებთ. ბევრი სიკეთე გაკეთდა. ასევე, მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ბატონ თორნიკეს, ჩვენი თხოვნიდან გამომდინარე, უსწრაფესად გამოგვეხმაურა და გვერდში დაგვიდგა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, ჩვენი თანამშრომლებისთვის, ჩვენი გმირებისთვის და მათი ოჯახებისთვის, – განაცხადა სიტყვით გამოსვლისას ვახტანგ გომელაურმა.

– ჩემთვის დიდი პატივია, მქონდეს დღეს შესაძლებლობა მოგმართოთ თქვენ. რა თქმა უნდა, შეუძლებელია პოლიციაზე საუბარი იმაზე ხაზგასმის გარეშე, რომ ყველას, თითოეულ მოქალაქეს და პირველ რიგში, პოლიციელებს უნდა ესმოდეთ – ჩვენი ქვეყნის მშვიდი განვითარება დგას თქვენზე. არაერთხელ მითქვამს ეს და ბევრჯერ, როდესაც მექნება შესაძლებლობა, ამას ყოველთვის გავიმეორებ.

წარმატება არ იქნება მიღწევადი არც ერთ სფეროში, განათლებიდან დაწყებული ეკონომიკითა და ტურიზმით გაგრძელებული და კიდევ ბევრი მიმართულებით, თუ ქვეყანაში არ იქნება სიმშვიდე, სიწყნარე და, რაც მთავარია, სამართლიანობის შეგრძნება.

ბატონებო, ამას უზრუნველყოფთ თქვენ. ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის პოლიციელები, რომლებმაც გაიღეს ყველაზე ძვირფასი – საკუთარი სიცოცხლე, როგორც გააკეთა ეს ბუტა ანთაძემ.

ძალიან კარგად გვახსოვს ის დღე, როდესაც ეს ტრაგიკული მოვლენა მოხდა. ჩვენ მაშინ, ვისაც შეგვეძლო, ემოციურად ყველანი ვიყავით ბუტას გვერდით. რა თქმა უნდა, ჩვენ გავაგრძელებთ და ვალდებულნი ვართ გავაგრძელოთ ეს, ვიყოთ მისი ოჯახისა და შვილების გვერდით. მე მახსოვს ემოციური შეხვედრები, რომლებიც ჩვენ გვქონდა, ის პერიპეტიები, რომლებიც საგამოძიებო პროცესში გამოვიარეთ და ის დაპირებები, რომლებიც ჩვენ გავეცით. მერწმუნეთ, ჩვენ ამას ყველაფერს შევასრულებთ. პირველ რიგში, ქვეყნის წინაშე ვალის მოსახდელად, აგრეთვე, მისი ოჯახისა და მისი შვილების წინაშე, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

მისი თქმით, ის, რაც პატრულმა-ინსპექტორებმა თავართქილაძემ და მჟავანაძემ ჩაიდინეს, არის ის მისაბაძი მაგალითები, რომლებიც ქართულ პოლიციაში ყოველთვის იყო, იქნება, მაგრამ რომლებსაც სჭირდება ღირსეული და შესაბამისი დაფასება.

– ეს არის ჩვენი ქვეყნის ხვალინდელ დღეზე ზრუნვა და ამ ახალგაზრდა ბავშვების ხვალინდელ დღეზე ზრუნვა. ღირსეული მსახურება ქვეყნისთვის არის ყველაზე მნიშვნელოვანი და დარწმუნებული ვარ, ბუტას ბიჭიც რომ გაიზრდება, მისი პირველი ოცნება იქნება პოლიციელობა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, მთავრობა, ვაკეთებთ იმ მინიმუმს, რისი ვალდებულებაც გვაქვს. ეს იქნება შესაბამისი ჯილდოები, სოციალური უზრუნველყოფა. ჩვენ ყველამ უნდა ვიცოდეთ ერთი რამ, ღირსეული პოლიციელის ღირსეული ყოველდღიური ცხოვრება არის, უნდა გახდეს და იყოს სახელმწიფოს ზრუნვის საგანი, რასაც ვაკეთებთ და გავაგრძელებთ.

მადლობას გიხდით თქვენ, ბუტას ოჯახს. ვუსურვებ პოლიციის რიგებსა და საქართველოს მოქალაქეებს, ასეთი ღირსეული პოლიციელი ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო მეტი ჰყავდეს, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

დაღუპული პოლიციელი ბუტა ანთაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მედლით „მამაცობისთვის“.

მედალი მის მეუღლეს გადაეცა.

მუხაესტატეს პოლიციის განყოფილების უფროსი, პოლიციის მაიორი ბუტა ანთაძე 2018 წლის 15 ივნისს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ქობულეთში დაიღუპა.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი პატრულ-ინსპექტორი ოთარ თავართქილაძე და მისი მეწყვილე ავთანდილ მჟავანაძე დაჯილდოვდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მედლით „მამაცობისთვის“. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსს მიხეილ დილიმაშვილსა და პატრულ-ინსპექტორ ირაკლი იფშირაძეს კი გადაეცათ მედალიონები „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“.

გასული წლის 18 დეკემბერს პატრულ-ინსპექტორი ოთარ თავართქილაძე მეწყვილე ავთანდილ მჟავანაძესთან ერთად ბათუმში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე პატრულირებდა, როდესაც ქვეითად მოსიარულე მოქალაქემ ეკიპაჟი გააჩერა. მოულოდნელად მოქალაქემ ოთარ თავართქილაძე ცივი იარაღით დაჭრა. ავთანდილ მჟავანაძემ თავდამსხმელი შემთხვევის ადგილზევე დააკავა. თუმცა, დაკავებისას, აღნიშნულმა პირმა მასაც მიაყენა ფეხის არეში მსუბუქი ჭრილობა. ოთარ თავართქილაძე საპატრულო პოლიციის აჭარის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელმა მიხეილ დილიმაშვილმა, პატრულ-ინსპექტორმა ირაკლი იფშირაძემ და ფაქტის შემსწრე მოქალაქემ რაულ თებიძემ, რომელმაც მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა გამოიჩინა და დაჭრილი პოლიციელი არ მიატოვა, საავადმყოფოში დროულად გადაიყვანეს.

# გომელაურმა დაღუპული პოლიციელის, ბუტა ანთაძის, შვილს დაბადების დღე მიულოცა და საჩუქრები გადასცა



შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა ბათუმში, პოლიციელების დაჯილდოების ცერემონიაზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პოლიციელის, ბუტა ანთაძის შვილს, ანასტასია ანთაძეს, დაბადების დღე პირადად მიულოცა და საჩუქრები გადასცა.

– დღეს ბუტას ქალბატონის დაბადების დღეა. გილოცავ, ანასტასია, შვილო, ჯანმრთელობას, ბედნიერებას გისურვებ და ნამდვილად, ქალბატონო ირმა, თქვენ, თქვენმა შვილებმა თავაწეულებმა, ამაყად უნდა იაროთ მთელი ცხოვრება, იმიტომ, რომ ბუტა ნამდვილად გმირი იყო და შეეწირა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებასა და დაცვას, – აღნიშნა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

ანასტასია ანთაძე 8 წლის გახდა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ლევან იზორია გერმანიაში გააციმბირეს“

## თორნიკე შარაშენიძე: „ვანო მერაბიშვილი ნაცმოძრაობას გააძლიერებს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს, რა ცვლილებებს ელოდებით ოპოზიციურ ფლანგზე?***

– თუ გულისხმობთ ვანო მერაბიშვილის განცხადებებს, ეს უფრო ცხელ გულზე გაკეთებული განცხადებები იყო. საჯარო ფიგურად ალბათ ვანო არ იქცევა. მას არასდროს უყვარდა საჯაროობა. თუ რამეა, ალბათ იმუშავებს მეორე ფლანგზე კულისებიდან. მსგავსი ორგანიზატორი, როგორიც ვანოა, ნებისმიერ პარტიას გამოადგება, ნაცმოძრაობასაც და სხვებსაც. ნაცმოძრაობას რომ ვუყურებ, მათ არ დარჩათ ბევრი ისეთი მენეჯერი, რომლებმაც პარტიის ყოველდღიური მუშაობა იციან კარგად. ვანომ ეს იცოდა ყოველთვის. ამიტომაც აქ უფრო ვხედავ მე მის როლს.

***– სად მოიაზრებთ, რომელ მხარეს?***

– უფრო ნაცმოძრაობაში. იქ აღარ დარჩნენ ამბიციურ ლიდერები. „ევროპულ საქართველოში“ ბევრი ამბიციური ლიდერია. ვანოს განცხადებას თუ გავიხსენებთ, ეს არ ჯდებოდა „ევროპული საქართველოს“ რიტორიკაში. ისინი ყოველთვის ხაზს უსვამენ იმას, რომ შეცვლიან მშვიდობიანად, არჩევნებით. შესაძლოა, სულაც არაფერს ნიშნავდა ვანოს განცხადება, უფრო ცხელ გულზე ნათქვამს ჰგავდა, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ამბიციური პოლიტიკოსების ადგილი ნაცმოძრაობაში უფროა. „ევროპულ საქართველოში“ ადგილი აღარ არის.

***– გაერთიანებულ ოპოზიციაში ბევრმა ლიდერმა თქვა, რომ არ დასხდებიან იმ მაგიდასთან, სადაც ვანო მერაბიშვილი დაჯდება.***

– არც მერაბიშვილი დაჯდება. ვანოს არ სჭირდება არანაირად მათთან დაჯდომა. მას უნდა, კულისებში იჯდეს და იქიდან იმუშაოს. როდის იყო, მას მაგიდასთან დაჯდომა და გამოჩენა უყვარდა?!

***– გააძლიერებს ვანო ნაციონალურ მოძრაობას?***

– იქიდან გამომდინარე, რომ კარგი მენეჯერები ძალიან ცოტა ჰყავთ, გააძლიერებს.

***– ზოგადად ოპოზიციის სტრატეგიაზე რას ფიქრობთ, აქციები რა შედეგს მოიტანს?***

– აქციებით რომ ვერ შეცვლიან ხელისუფლებას, გასაგებია. თუ ამ აქციების მიზანია ძალის დემონსტრირება და ის, რომ ხელისუფლებას რამე სისულელე ჩაადენინონ, ეგ სხვა თემაა. მთავარია, რამდენად მოხდება კოორდინირება საარჩევნო კამპანიის დროს. თუ თანხმდებიან და მართლაც თუ მიაღწიეს, რომ ერთიანი კანდიდატით გამოვლენ, ეს უკვე სერიოზული საქმეა.

***– ითქვა, რომ ვანო მერაბიშვილს სერიოზული კომპრომატები აქვს ბიძინაზე. ამაზე რას ფიქრობთ?***

– ამის არ მჯერა, კომპრომატები რომ ჰქონოდა მერაბიშვილს, არა მგონია, 2020-მდე დაეცადა.. კომპრომატები რომ ჰქონოდა, გამოაგდებდა შარშან ზაფხულში, ივნისის კრიზისის შემდეგ.

***– რამდენად ელოდებით, რომ ხელისუფლება კიდევ დაუშვებს შეცდომებს? ან მელიას დაკავება ხომ არ გახდება ამ ხელისუფლების სერიოზული შეცდომა?***

– ამ ხელისუფლებამ წითელი ხაზი უკვე გადაკვეთა უგულავას დაკავებით, ასე რომ, დაკავებაზე რომ წავლენ, ამაში დარწმუნებული ვარ. ახალი დაკავებები სერიოზული კატასტროფა არ იქნება „ოცნებისთვის“. მელიას დააკავებენ იმ შემთხვევაში, თუ მისგან სერიოზულ საფრთხეს დაინახავენ ან თუ ჩათვლიან, რომ მელიამ რაღაც გარიგება დაარღვია.

უგულავას შემთხვევაში ივანიშვილი აშკარად თვლიდა, რომ უგულავამ გარიგება დაარღვია, იმიტომ, რომ ლანძღვა დაუწყო ხელისუფლებას მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოუშვეს.

***– ანუ ჩუმად უნდა ყოფილიყო? ასეთი იყო გარიგება?***

– რა თქმა უნდა. მათ ასე ჩათვალეს, რადგან გამოვიდა, ჩუმადაც უნდა იყოს.

***– მერაბიშვილის შემთხვევაში ეს არ იმუშავებს. მან სრულად მოიხადა სასჯელი.***

– არანაირად არ იმუშავებს. ძალიან დიდხანს იჯდა და რა გარიგებაზეა საუბარი.

***– ანუ მელიასაც სიჩუმეს სთხოვენ?***

– ალბათ. მელიას შემთხვევა განსხვავებულია უგულავასგან. მელია არ მჯდარა ციხეში და არ გამოუშვიათ. შესაბამისად, ვერც იმას ჩათვლიან, რომ მასთან გარიგება არსებობს.

***– რამდენად დაძაბავს ხელისუფლება თავისი შეცდომებით სიტუაციას და ამას გამოიყენებს თუ არა ოპოზიცია?***

– ოპოზიცია უფრო ამის იმედზე უნდა იყოს, რომ ხელისუფლებაში რაღაც მოხდება და ისინი სისულელეს დაუშვებენ. იმ სიტუაციაში, რომელიც ხელისუფლების შიგნით არის შექმნილი, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და არაჯანსაღი სისტემა, შეცდომის დაშვება ნამდვილად არ არის გამორიცხული, რბილად რომ ვთქვათ.



***– ითქვა ისიც, რომ გერმანიაში ვიზიტისას გახარია შეხვდა ლავროვს. რაზე უნდა ესაუბრათ მათ, მაისში დაგეგმილ ღონისძიებაზე?***

– არა მგონია, გახარია შეხვედროდა ლავროვს. გახარიას თუ მართლა აქვს კონტაქტები რუსეთთან, უფრო წყნარად და მშვიდ სიტუაციაში შეხვდებოდნენ ერთმანეთს, რაღა მიუნხენში შეხვდებოდა ასე საჯაროდ?!

***– რამდენად კრიზისული და საფრთხის შემცველი იქნება მაისი, როდესაც დაგეგმილია მინისტერიალი?***

– არ ჩამოდის ლავროვი! ამაზე მიგვანიშნა კიდეც კარასინმა თავის გამოსვლაში. ეს, როგორც ჩანს, მთავრობამაც იცოდა თავიდანვე და ამიტომაც დასთანხმდა იმას, რომ ეს ევროკავშირის მინისტერიალი თბილისში ჩატარებულიყო და არა სტრასბურში, რის საშუალებაც არსებობდა. დელეგაცია ჩამოვა, ოღონდ ჩამოვა ისეთი, ვისაც დარღვეული არ აქვს კანონი ოკუპაციის შესახებ და პრეტენზიას ყველა რუსს ხომ ვერ წაუყენებ?! რუსების მეტი რა ჩამოდის აქ და ისტერიკის ატეხა იმაზე, რუსი რატომ ჩამოვიდაო, სისულელეა.

***– გახარიამ თქვა, სამთავრობო ცვლილებები მოულოდნელად და დაუგეგმავად ხდებაო. რა იგულისხმა?***

– ალბათ იგულისხმა ის, რომ არავინ იცის, ერთი კაცის გარდა. ბოლო წამს იგებენ ხოლმე ამის შესახებ, როდესაც ივანიშვილს გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს.

***– აწყობს ხელისუფლებას გაზაფხულზე ცვლილებები?***

– გაზაფხულზე კიდევ შეიძლება, ზაფხულში უკვე ძალიან გვიანია, რადგან არჩევნები ძალიან მალე მოდის. თუ ეს ცვლილებები გულისხმობს გახარიას გაშვებას, ვერ გამიგია, რაში სჭირდებათ, ვინ მოჰყავთ უკეთესი?! ამიტომ სიტუაციის არევა შიგნიდან არჩევნების წინ არ ღირს არანაირად!

***– ელჩების დანიშვნის თემაზე რას ფიქრობთ? სკანდალურად წასული ქაცარავაც, იზორიაც ელჩებად გაუშვეს.***

– ქაცარავა წავიდა რბილად. შეეძლო, დარჩენილიყო პარლამენტში და წასულიყო ოპოზიციაში. მან მანდატი დაუთმო გაცილებით უფრო მორჩილ ქოცს. რაც შეეხება იზორიას, იზორია გაუშვეს პოლიტიკურ გადასახლებაში. სამწუხაროდ, ვიღაცის მოშორება რომ უნდათ, შედარებით მძიმეწონიანის, მას უშვებენ ელჩად. არადა, გერმანიაში ვინმეს თუ უშვებ, უნდა იყოს საკმაოდ მძიმეწონიანი დიპლომატი.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არასოდეს ესმოდათ ელჩის, დიპლომატიის მნიშვნელობა. ელჩად გაშვება ყოველთვის იყო პოლიტიკური ციმბირი. მათი გადმოსახედიდან, იზორია გააციმბირეს, მოაშორეს აქაურობას, ქართულ პოლიტიკას. აღარ სჭირდებოდათ იზორია. რომ აღარ სჭირდებოდათ, ეს ძალიან კარგად გამოჩნდა, როცა გაავრცელეს კადრები, სადაც მისი ძმა იგინება და იმუქრება. შემთხვევით ხომ არ გავრცელდა ეს კადრები მაინცდამაინც ახლა?!

***– ანუ „ოცნების“ გავრცელებულია?***

– რა თქმა უნდა, აბა ვინ გაავრცელა. მაშინ ამდენი ხანი სად იყვნენ? ხომ ძველია ეს კადრები. გაუშვეს, მოიშორეს თავიდან. ახლა კი ჩავთვალოთ, რომ გერმანიიდან კიდევ კარგა ხანს არანაირი მხარდაჭერა არ გვექნება.

***– ხელისუფლებამ ოპოზიციას წაუყენა ულტიმატუმი, რომ მოლაპარაკების ფანჯარა თებერვლის ბოლოს იხურება. თებერვლის ბოლოა, შეჯერდებიან რამეზე? დაჰყვება ოპოზიცია ხელისუფლების შეთავაზებას?***

– 75-დან 50 არ არის მაინცდამაინც დიდი დათმობა. თბილისის გარეთ, ადმინისტრაციული რესურსითა და დაშინებით, ძალიან ადვილია მაჟორიტარების მოგება. ეს თბილისს გარეთ. 50-დან თბილისში რამდენი ოლქი იქნება დარჩენილი? მაქსიმუმ 7. 40-ზე მეტი ოლქი კი თბილისს გარეთ იქნება. 40 კი ძალიან სერიოზული ფორაა. 150-დან 40 თუ გარანტირებული ექნებათ, დანარჩენ 40-ს თუ პროპორციულით წაიღებს „ოცნება“, დამთავრდა, უმრავლესობა აქვს ყველა ვარიანტში.

ამიტომ ოპოზიციამ მაჟორიტარულში უნდა მოახდინოს ისეთი გარდატეხა, რომ მოუგოს ხელისუფლებას.

# „მერაბიშვილი სააკაშვილსა და მის გუნდს დაუპირისპირდება“

## მამუკა ტუსკაძე: „მისი რესურსი 5.000 ადამიანია“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი, უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, რა მდგომარეობაა სოციალური სამართლიანობის კუთხით საქართველოში?***

– საქართველოში სოციალური სამართლიანობის კუთხით ჯერ კიდევ მძიმე მდგომარეობაა. თუ დღეს არსებულ მდგომარეობას 90-იან წლებს შევადარებთ, იმ დროს უმძიმესი სიტუაცია იყო. დღეს მძიმე სიტუაციაა. თუ არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსწორებისთვის სახელისუფლებო ძალები სათანადოდ იზრუნებენ, შეიძლება, მალე წარმატებული ქვეყნების რიგში ჩავდგეთ.

***– არსებულ მდგომარეობას წინა ხელისუფლების პერიოდს თუ შევადარებთ, რა სურათი გვექნება?***

– წინა ხელისუფლების პერიოდში უფრო უარესი მდგომარეობა იყო. ამ კუთხით, ახლა შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ არ არის ის სტანდარტი, რაც საჭიროა. ბევრი სამუშაოა იმისთვის, რომ საქართველოში სოციალური სამართლიანობა დამკვიდრდეს.

***– მოგეხსენებათ, ვანო მერაბიშვილი ციხიდან გამოვიდა და განაცხადა, რომ საქართველოში არსებული მძიმე ვითარება უნდა შეიცვალოს. ამაზე რას იტყვით?***

– ვანო მერაბიშვილი სხვა განცხადებას ვერ გააკეთებდა. მან გააკეთა ბუნებრივი განცხადებები. ის დაკავებული იყო, თავისი სასჯელი მოიხადა და გათავისუფლდა. სხვა პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, მან სასჯელი მოიხადა.

***– მერაბიშვილმა სასჯელი მოიხადა, თუმცა ის არანაირ დანაშაულს არ აღიარებს. მიხარია, რომ ჩემს თავთან კომპრომისზე არ წავედიო, ანუ ის არ აცნობიერებს იმ დანაშაულებს, რომლებიც მან ჩაიდინა და მის პერიოდში ხდებოდა.***



– მისი ეს განცხადება და ქმედება შემაშფოთებელია, რადგან ორი გვამის მოთხოვნის ავტორს, წესით, უნდა რცხვენოდეს. მას უნდა ეთქვა, რომ რცხვენია, რადგან ნაცმოძრაობის დროს მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო, ნაცმოძრაობის ლიდერები, ნაციონალური რეჟიმის შემოქმედები აღიარებენ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს და რაღაცნაირად ცდილობენ, გამოისყიდონ ჩადენილი დანაშაულები სხვადასხვა გზით.

***– ამ დროს ევრონაცების ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ განაცხადა, ვანო მერაბიშვილი მძიმეწონიანი პოლიტიკოსია და გაუხარდება, თუ მათ რიგებში იხილავს.***

– ვანო მერაბიშვილს მძიმეწონიან პოლიტიკოსად ვერ ჩავთვლით. თუმცა, ჩემი პროგნოზით, ვანო დამოუკიდებელ პოლიტიკურ თამაშს დაიწყებს. ის ციხიდან ძალიან გაბერილი ამბიციებით გამოვიდა. მერაბიშვილს თავი ნელსონ მანდელა ჰგონია. შესაბამისად, ვფიქრობ, ის დამოუკიდებელ პოლიტიკურ თამაშს დაიწყებს.

ის დაუპირისპირდება სააკაშვილსა და მის გუნდს. „ევროპული საქართველოდანაც“ ძალიან ბევრი ადამიანი გადავა ვანო მერაბიშვილთან. მას დიდი ამბიციები აქვს. ამბიციებისაგან შეიძლება გასკდეს ადამიანი. სააკაშვილიც მერაბიშვილთან უკვე დაპირისპირებულია.

***– მერაბიშვილი წუხს, რომ ნაცმოძრაობის გუნდი დღეს გაყოფილია და შეეცდება მის გაერთიანებას.***

– მერაბიშვილი შექმნის მესამე ნაცძალას. ნაცმოძრაობიდან და ევრონაცებიდან მასთან გადავლენ. პრაქტიკულად, მერაბიშვილი დაპირისპირებულია ნაცებთან, მიხეილ სააკაშვილთან, ნაცმოძრაობის შემოქმედთან, ევრონაცებსაც ვერ შეესისხლხორცება.

ამიტომ ვანო მერაბიშვილი დააფუძნებს ახალ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც სათავეში ჩაუდგება. ნაცმოძრაობიდან და ევრონაცებიდან, შს სამინისტროს რაღაც ნაწილი მას გვერდით დაუდგება.

მერაბიშვილი ფიგურაა, რომელსაც 6 წელი და 9 თვე არ ეყო იმისათვის, რომ თავისი დანაშაულებრივი ქმედებები მოენანიებინა და გაეცნობიერებინა, როგორ შენდება სამართლიანი სახელმწიფო.

***– რომელ გაცნობიერებაზე საუბრობთ, როცა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ფეხი გადმოდგა თუ არა, განაცხადა, რომ ის ერთ წელიწადში ხელისუფლებას დაამხობს.***

– ვანო მერაბიშვილი ვერ არის კარგი სპიკერი და პოლიტიკური ლიდერი. ამიტომ, ვფიქრობ, მან გულით ამოთქვა ის, რასაც ფიქრობდა. პროკურატურის გასაგონად მინდა ვთქვა, რომ მერაბიშვილის განცხადება ხელისუფლების დამხობის თაობაზე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. ვფიქრობ, პროკურატურამ ამ განცხადების საფუძველზე მე-100 მუხლით გამოძიება უნდა დაიწყოს.

***– მერაბიშვილის მიმართ სასამართლოში კიდევ ორი სისხლის სამართლის საქმე განიხილება – 7 ნოემბრის დარბევისა და ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრისა და დარბევის საქმეები. ხომ შეიძლება, მერაბიშვილი ისევ ციხეში შეაბრუნონ?***

– მერაბიშვილს ციხეში კანონი თუ შეაბრუნებს. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება კანონს არ გადააჭტება. თუ მერაბიშვილს კანონი ციხეში შეაბრუნებს, შებრუნდება. ხელისუფლება ამას პოლიტიკური მოტივებისთვის არ გამოიყენებს იმიტომ, რომ ვანო მერაბიშვილის დანაშაულთა რიცხვი უთვალავია.

***– როცა ამბობთ, კანონი თუ შეაბრუნებსო, 7 ნოემბრის დარბევისა და „იმედის“ დარბევის გამო არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას?***

– რა თქმა უნდა. სისხლის სამართლის დანაშაულებია. ის შეიძლება ციხეში კანონმა შეაბრუნოს, რადგან ჩვენთან მძიმე დანაშაულებზე ხანდაზმულობის ვადა გასულ წელს 25 წლამდე გაიზარდა. შესაბამისად, ვანო მერაბიშვილის ჩადენილ დანაშაულებს ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასვლია. ეს ეხება არა მარტო ვანო მერაბიშვილს, არამედ მიხეილ სააკაშვილსა და მისი რეჟიმის სხვა შემოქმედებსაც. იმედია, ყველა პასუხს აგებს კანონის სრული დაცვით.

***– მოკლედ, აქტიური პოლიტიკური წელი გველოდება.***

– დიახ, აქტიური პოლიტიკური პროცესები გველოდება. ვანო მერაბიშვილიც შექმნის თავის ძალას და გააჩენს ისეთ სპიკერს, რომელსაც საზოგადოებაში ნდობა ექნება.

***– მას არ ენდობიან?***

– საზოგადოებაში ვანო მერაბიშვილისადმი ნდობა ნულია. ვანო მერაბიშვილს ნდობა აქვს თავის მეგობრებში, ყოფილ პოლიციელებსა და მოქმედ პოლიციელებშიც, შს სისტემაში. საპოლიციო სისტემა არის ის ძალა, რომლის ნაწილის ნაწილი იქნება მისი მხარდამჭერი. მას ეყოლება დაახლოებით 5 ათასი კაცი, რომელიც ვერ შეძლებს ცვლილების მოხდენას, მით უმეტეს, ამბოხის მოხდენას.

ამდენად, მერაბიშვილის რესურსი სულ 5 ათასი ადამიანი იქნება, რადგან წლების განმავლობაში ათეულობით ათასი ადამიანი და ოჯახი ჰყავს გაუბედურებული.

# დავით ბერძენიშვილი: „ოცნება“ ხელებს გვიგრეხს და კომპრომისს გვთავაზობს“

## „ეს არის ასლან აბაშიძის მეთოდებით ბრძოლა“

იაგო ნაცვლიშვილი

**პოლიტიკური კრიზისის განსამუხტად მმართველი გუნდი ოპოზიციას დიალოგს სთავაზობს, თუმცა „ქართულ ოცნებაში“ კომპრომისის მზაობა არ ჩანს. ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგი გიგი უგულავას დაჭერის გამო გაჩერდა, თუმცა, როგორც ჩანს, ოპოზიცია, შესაძლოა, მაინც დასთანხმდეს დიალოგს, თუ კომპრომისულ ვარიანტებს დაინახავს. ამ შეთავაზების ფონზე უმრავლესობაში აცხადებენ, რომ 100/50-ზე შეთავაზება კვლავ მოქმედია და ეს არის საუკეთესო ალტერნატივა.**

**როგორ უყურებს არსებულ პროცესს, რა შემთხვევაში დასთანხმდება დიალოგს ოპოზიცია და ფიქრობენ თუ არა, რომ ხელისუფლებისგან მართულია ოპოზიციის ცალკეული წევრების მიმართ წარმოებული დესტრუქცია? — ამ საკითხზე „ახალი თაობის“ კითხვებს „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი პასუხობს.**



***— როგორ უყურებთ არსებულ პოლიტიკურ ვითარებას? ერთი მხრივ, ხელისუფლება გთავაზობთ დიალოგს და მოგიწოდებთ, დაუბრუნდეთ მას, ხოლო მეორე მხრივ არ მოდის კომპრომისზე და ჯიუტად იმეორებს 100/50-ზე და თან აცხადებს, რომ ეს დათმობაა.***

— მათ ერთმანეთში ვერ მოილაპარაკეს და ხან ერთს ამბობენ, ხან მეორეს. მდინარაძემ რამდენიმეჯერ თქვა, 140/10-ზე ან 135/15-ზე არ შემოგვთავაზოთო და მე ამაზე ვუპასუხე, არც თქვენ შემოგვთავაზოთ 110/40-ზე ან 115/35-ზე-მეთქი. ამიტომ ჯობს, ერთმანეთში შეთანხმდნენ თალაკვაძე და მდინარაძე. თალაკვაძე იმეორებს, 100/50-ზეო, ხოლო მდინარაძემ თქვა, გვითხარით, რა წინადადებები გაქვთ, ოღონდ არ შემოგვთავაზოთ 140/10-ზეო. ამიტომ, თუ მათი შემოთავაზება რჩება ისევ 100/50-ზე, ამაზე ჩვენ პასუხი გაცემული გვაქვს და ეს არ არის შემოთავაზება.

მე ვიცი, რომ სხვადასხვა პარტიებთან, ერთი-ორს, რომლებსაც შეხვდნენ, განიხილეს ეს თემები. ამ პარტიებიდან ზოგი აფიშირებულია, ზოგი — არა, მაგრამ მოსინჯული აქვთ ეს, მაგალითად, სხვა რა პროპორციაზე წახვიდოდით. არც გია ჟორჟოლიანის ინიციატივაა მისაღები 115/35-ზე. არა მგონია, „პატრიოტთა ალიანსისა“ და სოციალ-დემოკრატების ეს ინიციატივა ანტისახელისუფლებო იყოს. ესეც ნიადაგის ერთგვარი მოსინჯვაა.

ვნახოთ, ჯერ გამოაცხადონ, რომ ისინი ხსნიან გზას, რომ 100/50-ზე კი არ არიან ჩაბეტონებული, არამედ აინტერესებთ, როგორია რეალური ოპოზიციის განწყობა. 130/20-ზე ჩვენ უკვე გვაქვს შეთავაზებული.

რასაც აკეთებენ, არის თამაში და უნდათ, დასავლეთს აჩვენონ, რომ სურთ დიალოგი და ოპოზიცია არ მოდის ამაზე. 100/50-ზე იყოს, ხელი უნდა გადაგიგრიხო და უმრავლესობა უნდა მივიღო, ოღონდ ამაში დამეთანხმე და გამოაცხადე, რომ მიღწეულია დიდი შეთანხმება და კომპრომისიო, ასე არ გამოვა, მით უმეტეს, პოლიტპატიმრების ფონზე ძალიან არარეალისტურია.

***— ანუ ამ რეალობაში თქვენ მაინც ხართ დიალოგისთვის მზად, ოღონდ უნდა დაინახოთ მზაობა ხელისუფლების მხრიდან, რომ ისინი მზად არიან, ოპოზიციასთან წამოვიდნენ კომპრომისზე?***

— რა თქმა უნდა, კომპრომისები უნდა იყოს ხელისუფლების მხრიდან პროპორციული არჩევნების თანაფარდობის თაობაზე, ანუ თუ არ არის პროპორციული არჩევნები, მასთან მიახლოებული მაინც უნდა ჩატარდეს. მეორე საკითხია პოლიტიკური მოტივებით დაპატიმრებული პოლიტიკოსების გათავისუფლება.

***— ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებს როგორ აფასებთ, როდესაც ელენე ხოშტარიას მოუწყვეს გარკვეულმა ჯგუფებმა აქციები. 22 თებერვალს ინტერვიუს დროს ვიღაც დაესხა თავს დეპუტატ სალომე სამადაშვილსაც და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. არის თუ არა ეს ხელისუფლების ხელწერა?***

— რა თქმა უნდა და ეს გაიზრდება. ეს არის ასლან აბაშიძის მეთოდებით ბრძოლა. ასე იყენებდა აბაშიძეც, ხალხის გამოყვანა ხდებოდა, ოფისების დარბევები, აქციები და ა.შ. გამოირჩეოდა ძალიან ცუდი ფაქტებით და არა მხოლოდ მუქარით, არამედ ფიზიკური ანგარიშსწორებითაც. მაგრამ ამან ვერ უშველა აბაშიძეს, პირიქით, დააჩქარა კიდეც ასლან აბაშიძის პოლიტიკური აღსასრული. ზონდერბრიგადების გამოყენება ხელისუფლებას ვერ უშველის.

***— ფიქრობთ, რომ ასეთი მეთოდების გამოყენება გაიზრდება და განიხილავთ თუ არა ამ ყველაფერს ერთიან კონტექსტში? ვგულისხმობ როგორც პოლიტიკურ დაჭერებს, ასევე ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ აქციებს და ა.შ.***

— ეს არის გაჭირვების. რესპუბლიკელებს გვაქვს ამის გამოცდილება. ასლან აბაშიძე ყველაზე მეტად რესპუბლიკელების ფრთას ებრძოდა, გვიწყობდა მიტინგებს, ხალხს იტაცებდა და ადამიანებს ფიზიკურად უსწორდებოდა. მაგრამ ამან ვერ გადაარჩინა მისი ხელისუფლება, პირიქით, ეს დასრულდა მისი სრული კრახით.

ბიძინა ივანიშვილი სხვა ბევრ რამეშიც ემსგავსება ასლან აბაშიძეს და, როგორც ჩანს, ესეც ამ ტიპის არის. ამასთანავე, ივანიშვილს ჰყავს უცოდინარი და უვიცი შემსრულებლები, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ, ეკა ხოფერიას შეუცვივდნენ თუ ელენე ხოშტარიას და ბევრი სხვა რამეც დადასტურდა.

ეს, ერთი მხრივ, უსუსურობის დადასტურებაა, ხოლო მეორე მხრივ — საკუთარი კრახის მოახლოება. რაღა შორის წავიდეთ, ხომ გახსოვთ 2012 წელს კარალეთის ინციდენტი, როდესაც ნაციონალებმა მაშინდელი კოალიციის წარმომადგენლებს გვესროლეს ქვები. რამდენიმე ხანში ეს არჩევნებზე მათი ხელისუფლების მარცხით დასრულდა.

# რამაზ საყვარელიძე: „მერაბიშვილი პარტიებისთვის საფრთხობელაა“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო რამაზ, რამდენად შეძლებს ოპოზიცია მაჟორიტარულ ოლქებში ერთ კანდიდატზე შეთანხმებას? გიგა ბოკერიამ აღნიშნა, რომ თბილისის ოლქებში უკვე გვარების დონეზეა შეთანხმება.***

— არ არის გამორიცხული, რომ ოპოზიციამ მართლაც შეძლოს ამ შეთანხმების მიღწევა. უცნაურად არ მეჩვენება, რადგან ეს მათ სჭირდებათ და ამ საჭიროებიდან გამოვლენ, ამიტომ შეთანხმდებიან.

***— ლიდერები თავად იყრიან კენჭს თუ სხვა პოპულარულ, ე.წ. ცნობად სახეებს დაუჭერენ მხარს, რაც ხშირად ხდება მაჟორიტარულ ოლქებში?***

— მეეჭვება, რომ არაპოლიტიკურ სახეებზე გააკეთონ აქცენტი. პარლამენტში მოხვედრა პოლიტიკოსებს უნდათ.

***— გასაგებია, მაგრამ რამდენად მოიგებენ? არიან ისეთი ლიდერები, რომლებსაც მაჟორიტარული ოლქები წაგებული აქვთ.***

— აბსოლუტურად გეთანხმებით, მაგრამ ამ შემთხვევაში სულ სხვა პოლიტიკურ პროცესთან გვაქვს საქმე. ისინი აცხადებენ, რომ მათ არჩევნების მოგება იმიტომ სჭირდებათ, რომ კოალიციური მთავრობა უნდა ჩამოაყალიბონ, მაგრამ იმაზე არ ფიქრობენ, რამდენად მოუგებენ ამა თუ იმ ოლქის ხელისუფლების კანდიდატს.

ამ შემთხვევაში ოპოზიციამ აქცენტი ხომ მოგებაზე უნდა გააკეთოს და არა ცდა ბედის მონახევრეაზე?! ხშირად ოპოზიციას სურვილები და ემოცია სძალავს ხოლმე, მეტი საღი აზრია საჭირო. საღი აზრის შემთხვევაში ოპოზიცია დაბოქლომების აქციასა და სხდომათა დარბაზში მყრალი სითხის მოსხმას არ დაიწყებდა, ამისთვის არ მოცდებოდა. ამით ამომრჩეველს ხომ ვერ აფიქრებინებ იმას, რომ შენ ქვეყანას კარგად მოუვლი. ამომრჩეველმა ხომ ეს უნდა გადაწყვიტოს, ვინ უკეთესად მოუვლის ქვეყანას.

***— რა შეიძლება იყოს ხელისუფლების ნაბიჯი?***

— ხელისუფლებამ თქვა, რომ თებერვლის ბოლომდე უნდა თქვას პასუხი ოპოზიციამ. ვნახოთ, რა პასუხი ექნებათ.

***— პარტიებთან ცალ-ცალკე შეხვედრები შეიძლება, გარკვეული მცდელობა იყოს?***

— არ არის გამორიცხული. ალბათ „ქართული ოცნება“ ეცდება, ასეთი შეხვედრები დააგროვოს. გაირკვა, რომ მხოლოდ „გირჩთან“ არ ყოფილა შეხვედრა. ხელისუფლება ეცდება, ეს შეხვედრები წარუდგინოს საერთაშორისო პარტნიორებს — ჩვენ ოპოზიციასთან დიალოგში ვართ. მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ 100-50-ზეც შეთავაზება დასავლეთის დასანახად გაკეთდა, თუმცა, ვფიქრობ, არც ნაციონალური მოძრაობა არ არის დიდად დაინტერესებული მოლაპარაკების გაგრძელებით.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ პროპორციული არჩევნები მათ არ აწყობთ, როგორც „ქართულ ოცნებას“.

***— ვანო მერაბიშვილი ოპოზიციისთვის შენაძენია თუ ნეგატივი?***

— ბევრი თვალსაზრისით შეუძლებელია, ვანო მერაბიშვილი შესაძენი იყოს. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სააკაშვილმა მოახდინა მისგან დისტანცირება, რის გამოც შემდეგ თავის მართლება მოუხდა. მერაბიშვილი რადგან მოსახლეობისთვის არ არის მისაღები ფიგურა, ამიტომ პარტიებისთვისაც არ არის მისაღები, რაც სრულიად ბუნებრივია.

***— ნინო ბურჯანაძემ თქვა, იმედი მაქვს, მოლაპარაკების მაგიდაზე მერაბიშვილი არ მოვა და უხერხულობას არ შეგვიქმნისო.***

— დარწმუნებული ვარ, ასეთი დამოკიდებულება აქვს ყველას, მაგრამ ზოგი ამას ღიად ამბობს და ზოგიც ვერ ამბობს. პრაქტიკულად მერაბიშვილი საფრთხობელაა იმ გაგებით, რომ რომელ პარტიასთანაც მივა, იმ პარტიის ამომრჩეველს დააფრთხობს. ამიტომ, მეეჭვება, პარტიები დიდი აღფრთოვანებითა და გულღიად შეხვდნენ.

დარწმუნებული ვარ, ამას თვითონაც კარგად ხვდება.



# ბიძინა გუჯაბიძე: „გიგი უგულავა და ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტპატიმრები არ არიან“

## „ვანო მერაბიშვილს ისეთი საიდუმლო ინფორმაცია ვერ ექნება, რომელიც „ქართულ ოცნებას“ არჩევნებზე დააზიანებს“



## „ოპოზიცია მოქმედი სისტემის დატოვებას შეგუებულია“

მარიამ მჭედლიშვილი

**პოლიტიკურ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ბიძინა გუჯაბიძეს.**

***— თუ საარჩევნოდ არაფერი შეიცვალა, ოპოზიციური ერთობა აპირებს, ერთმანეთთან შეაჯეროს მაჟორიტარების კანდიდატები. პირველი შეთანხმება ამ საკითხზე უკვე მოხდა. მომავალში შეჯერებულ გვარებსაც დაასახელებენ. ოპოზიციას ხომ შეუძლია, მთელ რიგ ოლქებში მოუგოს ხელისუფლებას?***

— ოპოზიციას საამისოდ ძალიან მცირე შანსი აქვს. ერთმნიშვნელოვნად არ შეიძლება იმის თქმა, რომ თუ კანდიდატურები შეათანხმა, ოპოზიცია მოიგებს. გააჩნია, ვის სად წამოაყენებს „ქართული ოცნება“.

***— თქვენ სხვა პარტიებთან თანამშრომლობის გამოცდილება გაქვთ. ძნელია ოპოზიციურ პარტიებს შორის კანდიდატებზე შეთანხმება?***

— ეს საკმაოდ პრობლემატურია. ყველა ორგანიზაციას თავისი კანდიდატის წამოწევა უნდა. ეს უთანხმოებას იწვევს. თანხმობა მიიღწევა მაშინ, თუ სხვები საკუთარ ინტერესს დათმობენ. არც ესაა ოპოზიციის გამარჯვების გარანტია.

***— საპყრობილიდან გამოსული სასჯელმოხდილი ვანო მერაბიშვილი ქართული პოლიტიკის სფინქსად იქცა. მასზე ბევრს საუბრობენ და მის მომავალ როლს პოლიტიკაში სხვადასხვანაირად ხედავენ. თქვენ რას იტყოდით?***

— ვანო მერაბიშვილს ძალიან ცუდი წარსული აქვს. ამაზე საზოგადოება შეთანხმებულია. მისი დადებითი როლი ძნელად წარმოსადგენია.

***— ბევრი ამბობს, რომ ვანო მერაბიშვილმა დანაშაულზე პასუხი აგო, სასჯელი მოიხადა და განწმენდილი და ავტორიტეტიანი დაუბრუნდა საზოგადოებას.***

— სასჯელი რომ მოიხადა, ვიცით. ყველაფერს აქვს მორალური მხარეც. ციხეში იჯდა, გამოვიდა, მაგრამ ამით რეპუტაცია გამოისწორა?! მისი მძიმე წარსული ყველას დაავიწყდა? ასე არ არის საქმე.

ვანო მერაბიშვილი მონაწილეობდა უამრავი ადამიანის დახოცვაში. მისი გამოისობით ძალიან ბევრი ოჯახი გაუბედურდა. ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა უმძიმესი დანაშაულია. ვინც ამბობს, ვანო მერაბიშვილი ავტორიტეტითა და განწმენდილი გამოვიდაო, ის მისი მომხრე და გულშემატკივარია. სხვა მოქალაქეები ასე არ ფიქრობენ. სადაც უნდა იყოს ვანო მერაბიშვილი, ხალხი მას წარსულს ყოველთვის გაუხსენებს.

***— არსებობს ასეთი მოსაზრებაც — „ქართულ ოცნებას“ ვანო მერაბიშვილის ეშინია იმის გამო, რომ იგი დიდი საიდუმლო ინფორმაციის მატარებელია, აქვს კომპრომატები, ჩანაწერები.***

— როცა ადამიანი შს მინისტრი და პრემიერი იყავი, ცხადია, ინფორმირებული იქნები. მერაბიშვილი-სააკაშვილის რეჟიმი ხალხს უთვალთვალებდა, უსმენდა და უკანონო ჩანაწერებსაც ინახავდა. დარწმუნებული ვარ, „ქართულ ოცნებაზე“ მას არანაირი მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ აქვს. ვანო მერაბიშვილს ისეთი საიდუმლო ინფორმაცია ვერ ექნება, რომელიც „ქართულ ოცნებას“ არჩევნებზე დააზიანებს. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებასა და მმართველ პარტიას მისი რატომ უნდა ეშინოდეს, არ მესმის.

***— მმართველ პარტიაზე არასახარბიელო მონაცემები ისედაც ვრცელდება. მაგალითად, „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა 2017-2019 წლებში, ჯამში, შეიძინეს 6 მილიონ 900.000-ზე მეტი ქონება. ეს ხდება იმ დროს, როცა ხალხს შიმშილით სული სძვრება.***

— შესასწავლია, კანონიერად და ლეგალური თანხებით არის შეძენილი ქონება თუ არა. ვისაც პრეტენზია აქვს, შეუძლია, მიმართოს პროკურატურას ან სასამართლოს. საერთოდ, ქონების ყიდვა აკრძალული არ არის.

***— ეს ცუდად არ მოქმედებს ადამიანებზე, რომლებსაც შვილები მშივრები ჰყავთ ან რომლებსაც სოციალური დახმარებას მოუხსნეს?***

— ეს პოპულისტური მიდგომაა. სიღარიბე ცუდია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვა, შეძლებულ ადამიანს არა აქვს ქონების ყიდვის უფლება. მთავარია კანონიერება.

***— საზოგადოებას კანონიერებისა და მართლმსაჯულების მიმართაც აქვს შენიშვნები. ითვლება, რომ ამ ხელისუფლებამ გადმოიბარა სააკაშვილის მანკიერი სასამართლო სისტემა.***

— ზოგიერთი მოსამართლის უვადოდ დანიშვნას მეც არ მივესალმები, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივი სისტემა გადმოიბარა. მოსამართლეების კანდიდატების განხილვა-დამტკიცების პროცედურა უკიდურესად გამჭვირვალე და დემოკრატიული იყო. ზოგიერთი ცუდი მოსამართლის გამო მთელი სისტემა არ უნდა ამოვსვაროთ. სისტემა იგივე რომ იყოს, გააგრძელებდა თავის დანაშაულებრივ საქმიანობას. ახლანდელი სასამართლო ბევრად უკეთესია.

***— ამაში ბევრი არ დაგეთანხმებათ. მაგალითად პოლიტპატიმრების არსებობას დაასახელებენ.***

— ირაკლი ოქრუაშვილი და გიგი უგულავა ეწეოდნენ პოლიტიკურ საქმიანობას, თუმცა მათი დაკავება პოლიტიკას არ უკავშირდება. ისინი პოლიტპატიმრები არ არიან. ამაში დარწმუნებული ვარ.

***— მომავალ არჩევნებს დავუბრუნდეთ. „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციურ ერთობას შორის, რომლებმაც საარჩევნო საკითხებზე დიალოგი შეწყვიტეს, შეთანხმება შესაძლებლად მიგაჩნიათ?***

— „ქართული ოცნების“ შეთავაზებაა 100/50-ზე. 100 პროპორციული ადგილი კარგი ვარიანტია და დღევანდელ მოდელს სჯობია. ოპოზიცია ამას უნდა დასთანხმდეს. თუ ისევ უარზე იქნება, მაშინ არჩევნები გაიმართება ისევ 77/73-სისტემით. მაჟორიტარების კანდიდატებზე საუბრის დაწყება იმას ნიშნავს, რომ ოპოზიცია შეგუებულია მოქმედი სისტემის დატოვებას.

***— პოლიტიკაში დაბრუნდა მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. მას რა ფუნქცია ექნება?***

— აბა, რა გითხრათ! მას ოპოზიციაში ცოტა გაუჭირდება, ყველა ხელგაშლილი არ დახვდება. თვითონაც არ აუმაღლდება ავტორიტეტი. დარწმუნებული ვარ, გიორგი მარგველაშვილის დაბრუნება პოლიტიკაში მისი შეცდომაა. შეიძლება, მისი კანდიდატურა სადღაც ჩავარდეს, არ გავიდეს, მერე დაიწყებენ ხმაურს, არჩევნები გაგვიყალბესო.

# სუსმა შპს „პრიზმას“ დირექტორი გ.ნ. და კიდევ 3 პირი დააკავა

## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე 4 პირი დააკავა და 2 პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე შპს „პრიზმას“ დირექტორი გ.ნ, ამავე კომპანიის სამუშაოთა მწარმოებლები გ.ჯ, ი.გ. და შპს „აუდიტ-ფრევეგის“ ექსპერტი რ.კ. დააკავეს. ამავე სისხლის სამართლის საქმეზე, ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, შპს „მშენტექზედამხედველის“ დირექტორი ნ.ბ. და საწარმოში გულგრილობის ფაქტზე შპს „პრიზმას“ ინჟინერი თ.მ. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2015 წლის 19 ოქტომბერს, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქალაქ ცაგერში, სპორტული კომპლექსის მშენებლობაზე ტენდერი გამოაცხადა, რომელშიც შპს „პრიზმამ“ გაიმარჯვა. აღნიშნულ კომპანიასთან 2.714.143 ლარის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე ხელშეკრულება გაფორმდა.

სპორტული კომპლექსის მშენებლობის დროს, შპს „პრიზმას“ დირექტორმა, ამავე კომპანიის სამუშაოთა მწარმოებლების დახმარებით, დოკუმენტებში 177.000 ლარის ღირებულების სამუშაოები ყალბად დააფიქსირა შესრულებულად და ამ გზით სახელმწიფოს კუთვნილ აღნიშნულ თანხას თაღლითურად დაეუფლა.

შპს „პრიზმას“ დირექტორს თაღლითობაში დახმარება გაუწია შპს „აუდიტ-ფრევეგი“-ს ექსპერტმა, რომელმაც მის მიერ შედგენილ დასკვნაში არარსებული სამუშაოები შესრულებულად აჩვენა.

თავის მხრივ, შპს „მშენტექზედამხედველის“ დირექტორმა, რომელსაც სამუშაოების შესრულების პროცესში ტექნიკური ზედამხედველობა ევალებოდა და შპს „პრიზმას“ ინჟინერმა, რომელიც საანგარიშგებო დოკუმენტებს ადგენდა, დოკუმენტებში არარსებული სამუშაოები შესრულებულად დააფიქსირეს.

სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების გამო, 2017 წლის 12 ოქტომბერს, შპს „პრიზმასთან“ დადებული ხელშეკრულება შეწყდა, რის გამოც სამშენებლო სამუშაოები სხვა კომპანიის მიერ დასრულდა.

გამოძიება დიდი ოდენობით თაღლითობისა და ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 25-180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

# ნარკოტიკების ინტერნეტით რეალიზაციის საქმეზე ბათუმში კ.ჟ. დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბათუმში სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების მცდელობის ბრალდებით 1 პირი დააკავეს.

დაკავებული წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევია.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორებისა და დეტექტივების სამმართველოების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი, 1986 წელს დაბადებული კ.ჟ. ბათუმში დააკავეს.

მას ბრალად განსაკუთრებით დიდი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და გასაღების მცდელობა ედება. დანაშაულები 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებული ჩართული იყო ნარკოტიკების ინტერნეტით რეალიზაციის სქემაში. კერძოდ, კ.ჟ. ბათუმში, სხვადასხვა ადგილზე, სპეციალურად შერჩეულ სამალავებში ათავსებდა ნარკოტიკულ საშუალებებს და აღნიშნული სამალავების მისამართებს დისტანციურად ატყობინებდა პირს, ვინც შემდეგ ამ ნარკოტიკების რეალიზაციას ახდენდა.

გამოძიების ფარგლებში, პოლიციამ მოსამართლის განჩინების საფუძველზე განახორციელა ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედებების ფარული ვიდეო-აუდიო ჩაწერა.

სამართალდამცველებმა ბათუმში, დაკავებულის მიერ მითითებული სამალავებიდან, 3 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, ასევე, „სუბოქსინის“ 9 აბი და ნატეხები ნივთმტკიცებად ამოიღო.

პოლიციის მიერ ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია 1 შეკვრად დაფასოებული „ჰეროინი“.

კ. ჟ.-ის დროებით საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკისას კი ნივთმტკიცებად ამოღებულია: ნარკოტიკული საშუალება „მეტადონის“ შემცველი 21 აბი, 6 შეკვრა „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკი, „სუბოქსინის“ 17 აბი და ნატეხები, ერთჯერადი საინექციო შპრიცი „ჰეროინის“ შემცველი ხსნარით და ელექტროსასწორი, მის ზედაპირზე არსებული „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილით.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 19-260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 19-260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# მკვლელობა გუდაურში: მერაბ კობიაშვილს რამდენიმე ადამიანი ურტყამს

გუდაურში მომხდარი მკვლელობის საქმეზე „ინტერპრესნიუსმა“ ახალი ვიდეოკადრები მოიპოვა. როგორც სააგენტოსთან საუბარში მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ მერაბ კობიაშვილის ადვოკატმა ტარიელ კაკაბაძემ განაცხადა, აღნიშნული ვიდეოჩანაწერი ბარის მიმდებარე ტერიტორიას ასახავს, სადაც ინციდენტი მოხდა.

ადვოკატის თქმით, კადრებში ჩანს, რომ მერაბ კობიაშვილს არა ერთი, არამედ რამდენიმე ადამიანი ურტყამს.

– ამ კადრებში ჩანს, თუ როგორ სცემს 5 ადამიანი მერაბ კობიაშვილს. აქ ჩანს, თუ როგორ წააქცევენ და ზემოდან ურტყამენ გამეტებით ფეხებს და ხელებს. ვერსია, რომ მხოლოდ ერთი სცემდა და დანარჩენები აშველებდნენ, არის არასწორი. ამ და დანარჩენ კადრებში ნათლად ვხედავთ, თუ როგორ გრძელდება კობიაშვილის ცემა მაშინ, როცა ის ცდილობს, გაეცალოს მოძალადეთა ჯგუფს.

შესაბამისად, ვერსია, თითქოს, მერაბ კობიაშვილს მხოლოდ იარაღის სროლის შემდეგ სცემეს, არასწორია! ასევე არასწორია ვერსია, თითქოს, მას მხოლოდ ერთი ადამიანი სცემდა და დანარჩენები აშველებდნენ!

ამ კადრებით სრულად დასტურდება დაცვის მხარის პოზიციის სისწორე. სრულად დგინდება, რომ მოვლენები ზუსტად ისე განვითარდა, როგორც მერაბ კობიაშვილმა მითხრა, როცა მას მცხეთის იზოლატორთან შევხვდი, – განაცხადა კაკაბაძემ.




16 თებერვალს გუდაურში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს, ერთი კი დაჭრეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამართალდამცავებმა მერაბ კობიაშვილი დააკავეს. კობიაშვილს ბრალი მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობისთვის წაუყენეს. მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

# ჩოხატაურში ორსართულიანი სახლი დაიწვა

22 თებერვალს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ონჭიქედში ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი დაიწვა.

სახლი ხის იყო. ჯერ უცნობია, რამ გამოიწვია ხანძარი.

ადგილზე რამდენიმე სახანძრო-სამაშველო ეკიპაჟი მუშაობდა.

როგორც ჩოხატაურის მერიაში ამბობენ, დაზარალებულ ოჯახს მუნიციპალიტეტი პირველ რიგში აუცილებელი ნივთებით დაეხმარება.

– ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა. ადგილობრივი ხელისუფლება დაზარალებულ ოჯახს თავდაპირველად აუცილებელი პირველადი მოხმარების ნივთებით დაეხმარება. ამის შემდეგ კი, სამშენებლო მასალის მოძიებაზე ვიზრუნებთ, – განაცხადა ჩოხატაურის მერმა, ირაკლი კუჭავამ.

ფაქტზე გამოძიება უკვე დაწყებულია.

# თელავთან მანქანა სატვირთოს შეასკდა 2 ადამიანი დაიღუპა

22 თებერვალს თელავში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 2 მამაკაცი დაიღუპა, 1 კი დაშავდა.

შემთხვევა გვიან ღამით მოხდა. თელავი-ყვარლის დამაკავშირებელ გზაზე მოძრავი მსუბუქი მანქანის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და საპირისპიროდ მოძრავ სატვირთოს შეეჯახა.

შედეგად, ადგილზე დაიღუპა მსუბუქ მანქანაში მყოფი 2 მგზავრი, მძღოლი კი მძიმედ დაშავდა. 45 წლამდე მამაკაცი თელავის რეფერალურ საავადმყოფოში რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

ექიმის თქმით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და უტარდება შესაბამისი მკურნალობა.

გამოძიება 276-ე მუხლით მიმდინარეობს.

# საჩხერეში მამის მკვლელობაში ბრალდებულ შვილს პატიმრობა შეეფარდა



საჩხერეში მამის მკვლელობაში ბრალდებულ არასრულწლოვანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიიღო.

22 თებერვლის სასამართლო პროცესზე, რომელიც დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა, ბრალდების მხარე დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა, დაცვის მხარე კი საერთოდ აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას.

სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა სრულად დააკმაყოფილა.

ბრალდებულის ადვოკატის, ესმა ნორაკიას განცხადებით, არასრულწლოვანი კვლავ დუმილის უფლებას იყენებს.

გარდაცვლილის ოჯახის წევრები დაკავებულის უმკაცრესად დასჯას ითხოვენ. როგორც არასრულწლოვნის ბიცოლა აცხადებს, ბრალდებულის გამართლება არასრულწლოვნის სტატუსის გამო დაუშვებელია და მას სასჯელის მაქსიმალური ზომა უნდა განესაზღვროს, ვინაიდან „მამა სასტიკად მოკლა“ და ის საფრთხეს წარმოადგენს სხვებისთვისაც.

# ი.გ.-ს იარაღი და ნარკოტიკები უპოვეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ცეცხლსასროლი იარაღისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს.

უწყების ცნობით, დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ი.გ. დააკავეს. მას ბრალად ცეცხლსასროლი იარაღისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა ედება.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულს პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსის“ 90 აბი და „ესკორტ-2008-მაგნუმის“ მოდელის პისტოლეტი ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვასა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს“, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

# ოჯახში ძალადობისა და მეუღლის მიმართ მუქარის ბრალდებით ბათუმში 1 პირი დააკავეს

პოლიციამ ოჯახში ძალადობისა და მეუღლის მიმართ მუქარის ბრალდებით ბათუმში 1 პირი დააკავა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1968 წელს დაბადებული კ.ა., ოჯახში ძალადობისა და ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული მუქარის ბრალდებით, ბათუმში დააკავეს.

დანაშაული 1-დან 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულმა მეუღლეს, 1975 წელს დაბადებულ ხ.გ.-ს და არასრულწლოვან შვილს სხვადასხვა დროს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.



გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებული მეუღლეს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

ოჯახის წევრის მიმართ მუქარისა და ოჯახის წევრების მიმართ ჩადენილ ძალადობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ასევე, სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილითა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

## ბარნი სანდერსი ლიდერობს




აშშ-ის დემოკრატიულ პარტიაში გრძელდება კოკუსები, რომლებმაც უნდა გამოავლინონ პრეზიდენტობის პრეტენდენტი. ეს უკანასკნელი კენჭს იყრის არჩევნებზე, რომელიც ამა წლის შემოდგომაზე გაიმართება.

კოკუსების მორიგი რაუნდი ნევადის შტატში გაიმართა. მასში ბარნი სანდერსმა გაიმარჯვა. ის დემოკრატიული პარტიის უკიდურესად მემარცხენე ფრთის წარმომადგენელია.

ამ გამარჯვების შემდეგ სანდერსის შანსები გაიზარდა და, შესაძლოა, დემოკრატებიდან პრეზიდენტობის კანდიდატად სწორედ სანდერსი ვიხილოთ.

## უკრაინელი ბიზნესმენი ყოფილი მინისტრის აგარაკზე მოკლული იპოვეს



უკრაინის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ლეონიდ კოჟარის სახლში ბიზნესმენი სერგეი სტარიცკი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად დაიღუპა.

გამოძიებამ საქმე სუიციდის მუხლით აღძრა, თუმცა მოგვიანებით უკრაინის პოლიციამ განაცხადა, რომ მკვლელობის ვერსიაზე მუშაობს.

სტარიცკი მეუღლესთან ერთად ყოფილი მინისტრის აგარაკზე წვეულებაზე იმყოფებოდა.

ცეცხლსასროლი იარაღი, რომლიდანაც გასროლა მოხდა, ყოფილ ჩინოსანს ეკუთვნოდა. კოჟარი უკრაინის საგარეო უწყებას 2012-2014 წლებში ხელმძღვანელობდა. გარდაცვლილი სერგეი სტარიცკი კი მსხვილი სარეკლამო ჰოლდინგის „ატლანტიკ გრუპს“ დამფუძნებელი და ტელეკომპანია „ინტერის“ ყოფილი ხელმძღვანელი იყო.

კოჟარს მინისტრის პოსტი იანუკოვიჩის მმართველობის ხანებში ეკავა. ის ცნობილი იყო, როგორც ქეიფის დიდი მოყვარული, სიმთვრალე კი პათოლოგიური ჰქონდა, ამ დროს სროლას ატეხდა ხოლმე.

კოჟარი დაკავებულია. მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

## იტალიაში კორონავირუსით 130 ადამიანია დაავადებული

### 2 გარდაიცვალა, 1 გამოჯანმრთელდა



იტალიაში კორონავირუსით დაავადებულთა რაოდენობამ 130-ს გადააჭარბა. ამის შესახებ ჟურნალისტებს იტალიის სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა ანჯეო ბორელიმ განუცხადა.

– კორონავირუსზე, 132 ადამიანის შემთხვევაში, ტესტმა დადებითი შედეგი მოგვცა. 2 მათგანი გარდაიცვალა, 1 გამოჯანმრთელდა. ამ დროისთვის ადამიანთა რაოდენობა, რომლებსაც ექიმები აკვირდებიან, 129-ს შეადგენს. მათგან 54 ჰოსპიტალიზებულია, 26 ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში იმყოფება, – განაცხადა ბორელიმ.

მისივე ცნობით, საჭიროების შემთხვევაში, ხელისუფლება მზად არის, ვირუსით ინფიცირებულები იტალიის შეიარაღებული ძალების ობიექტებში განათავსოს, სადაც კარანტინს შემოიღებენ.

ამ მიზნისთვის უკვე მომზადებულია 5.000-ზე მეტი ადგილი სამხედრო ყაზარმებში.

## მიწისძვრას თურქეთში 7 ადამიანი ემსხვერპლა

თურქეთის ხელისუფლების ოფიციალური ინფორმაციით, მიწისძვრას ირანის საზღვართან მდებარე თურქეთის ვანის პროვინციაში, სულ ცოტა, 7 ადამიანი ემსხვერპლა, დაშავებულია 5.



თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმაციით, გარდაცვლილია 4 ზრდასრული და 3 ბავშვი.

მისივე ცნობით, 1000-ზე მეტი შენობა დაზიანდა.

მაშველები ნანგრევებიდან მოქალაქეების ამოყვანის ოპერაციას ახორციელებენ. თურქეთის მედიის ინფორმაციით, მიწისძვრამ თურქეთის 43 სოფელში გამოიწვია ზარალი. 5.7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მიწიდან 5 კილომეტრის სიღრმეში თურქეთ-ირანის საზღვარზე კვირას, გამთენიისას მოხდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## პატიმართან რომანმა ქალი თვითმკვლელობისგან იხსნა



ამერიკის ქალაქ ნიუ იორკის მკვიდრმა მიმოწერა გააბა პატიმართან და შეუყვარდა. მან ერთ-ერთ ადგილობრივ გამოცემას განუცხადა, რომ სწორედ პატიმართან რომანმა აალებინა ხელი თვითმკვლელობაზე.

30 წლის ლორა ბელმერმა ხუთი წლის განმავლობაში დაკარგა დედა, მამა და და და თავს მარტოსულად გრძნობდა. ქალს დეპრესია ტანჯავდა და თვითმკვლელობაზეც კი ფიქრობდა.

2018 წლის დეკემბერში მას მეგობარმა ურჩია, მიმოწერა დაეწყო 29 წლის პატიმარ სტივენთან, რომელიც სასჯელს ნიუ იორკის შტატის ჩრდილოეთ ნაწილში იხდიდა. თუ რა დანაშაულისთვის იყო მამაკაცი გასამართლებული, ბელმერი არ ამხელს.

მან სტივენს წერილი მისწერა. წყვილმა ერთმანეთის შესახებ ბევრი რამ იმ კითხვების დახმარებით შეიტყო, რომლებიც ბელმერმა თვითსრულყოფილების წიგნებში ამოიკითხა და ისინი თანამოსაუბრეს საკუთარ პასუხებთან ერთად გაუგზავნა. მათ მიმოწერა გააგრძელეს და მათ შორის რომანი გაიბა.

– ეს წერილები იყო ერთადერთი, რომელთა წყალობითაც თავს ცოცხალ ადამიანად ვგრძნობდი, – განაცხადა ბელმერმა.

მიმოწერის შედეგად ქალს უამრავი წერილი დაუგროვდა. დასვენების დღეებში ის სტივენს ციხეში აკითხავდა. 2019 წლის ივნისში წყვილი დაინიშნა და დეკემბერში ბელმერმა მხარზე გაიკეთა სვირინგი წარწერით „ლ და ს სამუდამოდ“. სტივენს სასჯელის ვადა 2023 წელს ეწურება, თუმცა, არსებობის იმის ალბათობა, რომ ის პირობით ვადამდე გაათავისუფლონ.

## მისტიკურმა სამმეტრიანმა არსებამ აეროპორტის მახლობლად პანიკა გამოიწვია



ინგლისის ნორტ-ლინკოლნშირის საგრაფოში სამმეტრიანმა არსებამ პანიკა დათესა აეროპორტ ჰამბერსაიდის შემოგარენში.

ორგანიზაცია Realm of the Supernatural-ის წარმომადგენელმა მაკფინჩმა განაცხადა, რომ ამოუცნობი მისტიკური არსება, რომელიც „სიბნელეზე უფრო შავი“ იყო, აეროპორტ ჰამბერსაიდის მახლობლად, ტრასაზე დაინახა. მოგვიანებით ის ხანდაზმულმა წყვილმა შენიშნა.

მეორე დღეს მაკფინჩმა იმ ადგილას, სადაც ამოუცნობი არსება შენიშნა, ირმის ფეხები იპოვა.

– ფოტოსურათი გადღაბნილი გამოვიდა, ვინაიდან ის მანქანიდან იქნა გადაღებული, რადგან ავტომობილის სალონიდან გადასვლის შეეშინდა, – განაცხადა ორგანიზაციის კიდევ ერთმა წევრმა ლი სოლვეიმ, – ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ეს ბრაკონიერების ნახელავია. დიახ, შესაძლებელია, მაგრამ, საკითხავია, რატომ უნდა გაჩერებულიყვნენ ტრასაზე და ნანადირევის დანაწევრება იქ დაეწყოთ?

## პატარა ძაღლმა თავისი ყრუ პატრონი და მისი ბოიფრენდი დაღუპვას გადაარჩინა



ინგლისის ნორტ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ იორკში კოკერ-პუდელის ჯიშის პატარა ძაღლმა პატრონი დროულად გააფრთხილა და ხანძრისგან იხსნა.

35 წლის კრისტენ კალანდერმა განაცხადა, რომ იმ დღეს მან და მისმა ბოიფრენდმა მეთმა დაახლოებით 22:30 საათზე დაიძინეს. მალე მათ საწოლზე მისი ძაღლი, სახელად პიკლი ახტა და გაღვიძება დაუწყო.

– ის ძალიან ჯიუტად ცდილობდა ჩვენს გაღვიძებას, ცხვირს მირტყამდა და გაუჩერებლად მლოკავდა, – იხსენებს ქალი. როდესაც პატრონმა ძაღლს ჰკითხა, რა უნდოდა, ის იატაკზე დაწვა.

– ის ასეთი სახით მანიშნებდა, რომ საფრთხე გვემუქრებოდა, – განმარტა კალანდერმა.

მხოლოდ ამის შემდეგ იგრძნო მან დამწვრის სუნი. ქალმა ბინა დაათვალიერა, მაგრამ ცეცხლის კერას ვერ მიაგნო, შემდეგ კარის სათვალთვალოდან გაიხედა და ცეცხლის ენები შენიშნა. ის სასწრაფოდ დაბრუნდა მეთთან და აცნობა, რომ მეზობელ ბინაში ხანძარი იყო. წყვილმა, სანამ მეხანძრეები ცეცხლს აქრობდნენ, პიკლთან ერთად სახლი სასწრაფოდ დატოვა.

– პიკლმა დაღუპვას გადაგვარჩინა. მისი დიდი მადლობელი ვარ, – ხაზგასმით აღნიშნა ძაღლის პატრონმა.

## ქმარმა ცოლი მიატოვა და უცხო ქვეყანაში უფულოდ დატოვა



ინგლისის უესტ-მიდლენდსის საგრაფოს ქალაქ დადლის მცხოვრები ქალბატონი ამტკიცებს, რომ დომინიკანელმა ახალგაზრდა მეუღლემ ის ყოველგვარი დანაზოგის გარეშე დატოვა და გაიქცა. ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის ინფორმაციით, ქალს იმის ფულიც კი აღარ დარჩა, რომ სამშობლოში დაბრუნდეს.

46 წლის კლერ ალკანტარამ ინტერნეტით გაიცნო დომინიკანის რესპუბლიკის მოქალაქე ფრანკლინ ალკანტარა, რომელიც მასზე 12 წლით უმცროსი იყო.

კლერი შეყვარებულის დიდ ბრიტანეთში გადაყვანას ცდილობდა და მას მიწვევა გაუფორმა, მაგრამ მამაკაცს ქვეყანაში შესვლაზე უარს საიმიგრაციო სამსახური ეუბნებოდა. მაშინ ქალი თავად ჩაფრინდა დომინიკანის რესპუბლიკაში. მისი მტკიცებით, მან უკვე მაშინ დაიწყო საკუთარი დანაზოგით ფრანკლინის ოჯახის კუთვნილი სახლის შეკეთება. 2013 წლის ოქტომბერში ისინი დაქორწინდნენ.

ამის შემდეგ წყვილი დიდ ბრიტანეთში ჩავიდა და კლერის სახლში მის მოზრდილ ქალიშვილთან ერთად დაბინავდა. კლერის შვილები მისი ფრანკლინთან ურთიერთობის წინააღმდეგი იყვნენ. ქალი იმაზეც კი წავიდა, რომ უარი თქვა ბრიტანეთის მოქალაქეობაზე, გახდა ირლანდიის ქვეშევრდომი და ეს იმისთვის გააკეთა, რომ მის ქმარს ვიზა მიეღო. 2014 წელს კლერმა და ფრანკლინმა ერთიანი ანგარიში გახსნეს დომინიკანის რესპუბლიკაში, რომლიდანაც მამაკაცის მამის სახლის მშენებლობის თანხებს ისტუმრებდნენ. კლერის მტკიცებით, მან ამისთვის 15 ათასი ფუნტი სტერლინგი დახარჯა. გარდა ამისა, მან ფრანკლინს 10 ათას ფუნტად ღირებული ჯიპი უყიდა.

2017 წელს მათ დიდ ბრიტანეთში არსებული ქონება გაყიდეს და დომინიკანში გადაბარგდნენ. კლერი ფულის თავის და მეუღლის ერთობლივ ანგარიშზე ჩარიცხვას აგრძელებდა.

მოგვიანებით ქალმა შეიტყო, რომ ანგარიში მხოლოდ ფრანკლინის სახელზე იყო გაფორმებული, რამდენიმე დღეში კი ქმარმა განუცხადა, რომ სამი თვით სამსახურის საქმეებზე ქალაქ პუნტა-კანაში მიემგზავრებოდა, თუმცა შემდეგ ეს ვადა ექვს თვემდე გაიზარდა და კლერს ეჭვი გაუჩნდა, რომ საქმე მთლად კარგად არ იყო.

2018 წელს კლერისთვის ცნობილი გახდა, რომ ფრანკლინი ინგლისში სხვა ქალთან ცხოვრობდა. კლერმა სანტა-დომინგოში დაბალანაზღაურებადი სამსახური გამონახა და იქ ახალ ბოიფრენდთან ერთად ცხოვრობს. ის აცხადებს, რომ სამშობლოში დასაბრუნებლად ფული არ ჰყოფნის და ფრანკლინმა ის უფულოდ დატოვა. კლერის თქმით, მან თაღლით მეუღლეს 40 ათასი ფუნტი სტერლინგი დაახარჯა.

თავის მხრივ, ფრანკლინმა მედიის წარმომადგენლებს საკუთარი ვერსია წარუდგინა. მისი მტკიცებით, კლერმა მისი მშობლების სახლის შეკეთებაზე მხოლოდ 6 ათასი ფუნტი დახარჯა. ასევე, მისი თქმით, მათ მანქანა ერთობლივად შეიძინეს და კლერს მასთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ 3 ათასი ფუნტი დაუბრუნა. ის ასევე უარყოფს, რომ ანგარიში მხოლოდ მის სახელზე იყო გახსნილი და აცხადებს, რომ კლერმა თავისი ფული დახარჯა, თუმცა არა მასზე. ასევე, მისი თქმით, კლერის მასთან დაკავშირების შემდეგ ის მეგობარმა გოგონამ მიატოვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## უზარმაზარმა მფრინავმა ტარაკანამ სტუდენტი საჭმლის გარეშე დატოვა



ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ ბრისბენის მცხოვრებმა სტუდენტმა განცხადებების პორტალზე გამოაქვეყნა განცხადება მის სამზარეულოში დამკვიდრებული ფრთოსანი ტარაკნას მოკვლის თხოვნით. ამისთვის ის მზადაა, 20 ავსტრალიური დოლარი გადაიხადოს.

24 წლის ბარგავ ჩავდამ პორტალზე დაიჩივლა, რომ ანომალიურად დიდი ზომის ტარაკნას გამო სამზარეულოში ველარ შედის.

– დამეხმარეთ, თუ შეიძლება და რაც შეიძლება ჩქარა, საშინლად მშია, – დაწერა სასწავლებლიდან დაბრუნების შემდეგ სტუდენტმა.

ჟურნალისტებთან საუბარში ჩავდამ აღიარა, რომ ტარაკნების ეშინია. მისი თქმით, ის სადილობას აპირებდა, როდესაც შენიშნა, რომ მის სამზარეულოში უზარმაზარ ტარაკანას მოეკალათებინა.

– მან საშინლად შემაშინა. ამჟამად ისედაც მუდმივად სტრესში ვარ, უბრალოდ, არ მინდა ამის დანახვა, – აცხადებს ჩავდა, – ტარაკანამ სადილის გარეშე დამტოვა.

სოციალური ქსელის მომხმარებლები სტუდენტის განცხადებას იუმორით მოეკიდნენ. მათ აღიარეს, რომ ჩავდას განცხადებამ ისინი საკმაოდ გაამხიარულა.

## სტაჟირებაზე მყოფმა ახალგაზრდამ უძველეს განძს მიაგნო



გერმანიის ქალაქ ხალტერნ-ამ-ზეში სტაჟირებაზე მყოფი ახალგაზრდა მამაკაცი უძველეს რომაულ განძს გადააწყდა.

19 წლის ნიკო კალმანმა გათხრების დროს ვერცხლის ხანჯალი იპოვა, რომელიც, ექსპერტების აზრით, დაახლოებით ორი ათასი წლისაა. ეს უნიკალური იარაღი, სავარაუდოდ, რომაელებმა გერმანულ ტომებთან ომში გამოიყენეს. უძველესი ნივთის აღდგენას, რომელიც ჟანგით იყო დაფარული, ცხრა თვე დასჭირდა.

ხანჯლის გარდა, არქეოლოგებმა ტყავის ქამრის ფრაგმენტები, ცაცხვის ხისგან დამზადებული კოლოფი და სელის გრეხილი იპოვეს. უნიკალურ ნივთებს 2022 წელს ქალაქის ისტორიის მუზეუმს გადასცემენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უძველეს დროში დღევანდელი ქალაქის ადგილას სამხედრო ბანაკი იყო განლაგებული. რომაელ ჯარისკაცებს კი სხვადასხვა უჩვეულო ხანჯლების ტარება უყვარდათ, რათა ამით საკუთარი განსაკუთრებული სტატუსისთვის გაესვათ ხაზი. ბრძოლების შედეგად აქ დაახლოებით 20 ათასი ადამიანი დაიღუპა.

## მამაკაცმა ავტომობილი დაალაგა და გამდიდრდა




ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატის ქალაქ ჩაპინის მკვიდრი მას შემდეგ გამდიდრდა, რაც საკუთარი ავტომობილი დაალაგა. მძღოლმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ მოისურვა, მანქანის სალონი მტვერსასრუტით დაასუფთავა და 25-ცენტიანი 20 მონეტა იპოვა. ამ ფულით მამაკაცმა ადგილობრივ მაღაზიაში მომენტალური ლატარიის ბილეთი შეიძინა. მან მაშინვე შეამოწმა გათამაშების შედეგები და აღმოაჩინა, რომ მსხვილი თანხის, 250 ათასი დოლარის მფლობელი გახდა.

იღბლიანმა ამერიკელმა საკუთარ თვალებს არ დაუჯერა და მაღაზიის გამყიდველთან რამდენიმეჯერ გადაამოწმა, მართლა გახდა თუ არა გათამაშების გამარჯვებული. მამაკაცი მოგებული თანხით ვალების დაფარვას აპირებს, ხოლო დანარჩენი ფულით ცოტას გაერთობა და ოჯახის მომავალზე იზრუნებს.

**იყიდება 2020 წელს გამოცემული 664-გვერდიანი წიგნები „ქართული მართლწერის საკითხები“. ფასი 25 ლარი.**

**მოქმედებს შეთანხმებულ ადგილზე უფასოდ მიტანის სერვისი (მხოლოდ თბილისის ფარგლებში). ტელ: 2-43-20-33; 595-24-47-78.**

## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

# დინამომ 13 ფეხბურთელი წარადგინა



თბილისის დინამოს გენერალურმა დირექტორმა ზაზა დოლიძემ და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კახა ჩხეტიანმა წინასასეზონო პრესკონფერენცია გამართეს.

დინამომ 13 ფეხბურთელი წარადგინა: ხოსე პერალესი, როინ კვასხვაძე, ომარ მიგინეიშვილი, ლუკა ლოჩოშვილი, გიორგი კუცია, ნიკა სანდოხაძე, ირაკლი ბუღრიძე, თორნიკე კაპანაძე, თორნიკე ახვლედიანი, ფილიპ ორსულა, ივან ტრუბოჩკინი, საიმონ ბენიო, პერნამბუკუ.

**კახა ჩხეტიანი:**

– ვფიქრობ, თურქეთში ნაყოფიერი შეკრება გამოგვივიდა და ამხანაგურ თამაშებშიც უკეთესი ხარისხი ვაჩვენეთ. კონკურენცია ყველა პოზიციაზე დიდია და ეს თითოეული ფეხბურთელისთვის დამატებითი მოტივაციაა. გასაკეთებელი ძალიან ბევრია და დროთა განმავლობაში, ყველაფერი დალაგდება. ახალი გუნდი გვყავს, ახალი სისტემით, მაგრამ წარმატებისთვის უნდა ვიბრძოლოთ როგორც საქართველოს ჩემპიონატში, ისე ევროტურნირებზე. ცოტა იღბალიც გვჭირდება, რომ ქართველ გულშემატკივრებს ოცნება ავუსრულოთ და ევროტურნირის ჯგუფში მოვხვდეთ.

თუ დინამოს რომელიმე ფეხბურთელს გაცილებით ძლიერ გუნდში გადასვლის შანსი ექნება, არ შევუშლით ხელს, მაგრამ პირადად მე ვიქნები წინააღმდეგი, რომ ჩვენი მოთამაშე უპერსპექტივო გუნდში წავიდეს. ეს ეხება როგორც ნინუას, ისე ნებისმიერ სხვა ფეხბურთელს. თუ ევროტურნირის ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდით, ფეხბურთელებით გაცილებით უკეთესი კლუბები დაინტერესდებიან.

**ზაზა დოლიძე:**

– 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობდით სელექციაზე, რომ გუნდი გაგვეძლიერებინა, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო კახა ჩხეტიანს. მთლიანად შევცვალეთ სასელექციო სისტემა. სეზონი დაიწყება, გუნდის თამაშს დავაკვირდებით და სასელექციო სამუშაო აუცილებლად გაგრძელდება. არ ვიშურებთ არაფერს, რომ ოპტიმალური შემადგენლობა გვყავდეს. რაც შეეხება აკაკი შულაიას, გაუმჯობესებული კონტრაქტი შევთავაზეთ, მაგრამ მისი სურვილია, რომ კარიერა ევროპაში გააგრძელოს. ჯერ ვერ მოიძებნა გუნდი, ჩვენი შეთავაზება კი ძალაშია, რადგან მას ძალიან ვაფასებთ.

# სიტი უეფასთან საომრად ემზადება

მანჩესტერ სიტიმ 2-წლიან დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით ადვოკატი დევიდ პენიკი დაიქირავა, რომელსაც ქალაქელები დღიური ხელფასის სახით 20.000 გირვანქა სტერლინგს გადაუხდიან.

ბრიტანული მედიის ცნობით, კლუბს, შესაძლოა, 2014 წელს მოგებული პრემიერ ლიგის ტიტული ჩამოერთვას. ინგლისის პრემიერ ლიგის გამოძიებით, თუ სიტის მხრიდან ფინანსური დარღვევები დადგინდა, „ქალაქელების“ მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. ასევე, გაჩნდა ვერსია, რომლის მიხედვით, კლუბი, შესაძლოა, რანგით მე-4 ლიგაში დააქვეითონ.

სანქციის სახით ასევე განიხილება კიდევ ერთი ვერსია, რომლის მიხედვით, პეპ გვარდიოლას გუნდს გარკვეული რაოდენობის ქულებს დააკლებენ. 2013-14 წლების სეზონში სიტი 86 ქულით პირველ ადგილზე გავიდა და მეორეადგილოსან ლივერპულს მხოლოდ 2 ქულით გაასწრო.

# ბორჯღალოსნებმა ბელგია არ დაინდეს

ბორჯღალოსნებმა რაგბი ევროპის ჩემპიონატის მესამე ტურში ბელგიას 12 ლელო გაუტანეს და „აია არენაზე“ ლამაზ სტილში, 78:6 დაამარცხეს.



აკაკი ტაბუცაძე გახდა პირველი მორაგბე, რომელმაც ნაკრების კვართით ერთ მატჩში 4 ლელო გაიტანა. დუბლი მიითვალა ზურაბ ძნელაძემ, ხოლო ვანო კარკაძემ, სოსო მათიაშვილმა, გიორგი ბეგაძემ, ბექა გორგაძემ და გიორგი თხილაიშვილმა თითოთითო ლელო ჩაიწერეს აქტივში. ბეგაძისა და კარკაძისთვის ეს პირველი სანაკრებო ლელო იყო. კიდევ ერთ შემთხვევაში ბელგიელები საჯარიმო ლელოთი დაისაჯნენ, თედო აბჟანდაძემ კი 11 გარდასახვიდან 8 ზუსტად შეასრულა.

ბორჯღალოსნებს ბელგიელები აქამდე ხუთიდან ხუთჯერ ჰყავდათ დამარცხებული, მეექვსე ჯერზე კი სარეკორდო სხვაობით მოუგეს.

ამ მატჩში 2 დებიუტი შედგა – მეორეხაზელმა ლაშა ჯაიანმა და შუამარბმა დემე თაფლაძემ ეროვნული გუნდის კვართი პირველად მოირგეს. უმცროსი ბორჯღალოსნების კაპიტანი თაფლაძე ამ მატჩის შემდეგ საფრანგეთში გაემგზავრება და ილია მაისურაძის რაზმს შეუერთდება, რომელიც მსოფლიო რაგბის ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის ემზადება და ფრანგ თანატოლებს 26 თებერვალსა და 1 მარტს შეხვდება.

ბორჯღალოსნებმა თამაში თავიდანვე მაღალ ტემპში, აგრესიული შეტევებით დაიწყეს და მეტოქე პირველიდან ბოლო წუთამდე წნეხში ამყოფეს. ანგარიში მე-5 წუთზე გაიხსნა, თედო აბჟანდაძემ კაცი გამოტოვა და მარჯვენა ფრთაზე ტაბუცაძე მოძებნა, რომელმაც პირველი ლელო ალამთან გაიტანა, ხოლო აბჟანდაძემ რთული პოზიციიდან გარდასახა.

მე-12 წუთზე ახალგაზრდა კვაჭმა ვანო კარკაძემ რაქიდან შეუტია და მე-5 სანაკრებო მატჩში პირველი ლელო გაიტანა. მალევე გუნდის კაპიტანმა ბექა გორგაძემ კონტრშეტევა წამოიწყო, ზურაბ ძნელაძემ ბოლო მცველი აიყვანა და ლელო სოსო მათიაშვილმა გაიტანა, ხოლო თედომ ესეც გარდასახა. 24-ე წუთზე როლები შეიცვალა, დერეფნიდან შეტევის შემდეგ მცველი უკვე მათიაშვილმა აიყვანა და ლელოში ძნელაძე შეუშვა, ხოლო 38-ე წუთზე სტუმრებმა აშკარა ლელოსგან თავი წესების დარღვევით დაიცვეს და საჯარიმო ლელოთი დაისაჯნენ. ბელგიამ ტაიმის შუაში და მიწურულს 2 საპასუხო ჯარიმის გატანა მოახერხა – 33:6.

შესვენებისას ლევან მაისაშვილმა ცვლილებები განახორციელა, თუმცა სურათი არ შეცვლილა. თამაში 3 წუთის განახლებული იყო, როდესაც ბელგიელებმა საკუთარი 22-იდან ფეხით ცადეს გამოსვლა, ბურთი გიორგი ბეგაძემ მეტოქეს ხელიდანააცალა და 66-ე სანაკრებო მატჩში თავისი პირველი საერთაშორისო ლელო გაიტანა. 10 წუთში ბურთი ფრთაზე ბოლომდე ჩათამაშდა და ტაბუცაძემ დუბლი შეასრულა. დერეფნის შემდეგ ბურთი ბექა გორგაძეზე სწრაფად გავიდა, გუნდის კაპიტანმა 3 მბოჭავი არ შეიმჩნია და ძალისმიერი ლელო გაიტანა.

შემდეგ დერეფანს კვლავ ლელო მოჰყვა, ოღონდ ამჯერად ბორჯღალოსნებმა მოლი ჩამოაყალიბეს, 6 მეტრი სწრაფად დაფარეს და იერიში გიორგი თხილაიშვილმა დაასრულა. დასკვნით 10 წუთში კიდევ 3 ლელო გავიდა. ძნელაძემ ჯერ დუბლი შეასრულა, მერე კი ტაბუცაძე კიდევ 2-ჯერ გაიქცა ფრთაზე და 2 მატჩში სანაკრებო ლელოების რაოდენობა უკვე 5-მდე გაზარდა – 78:6.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | 142-29 | 14 |
| 2.პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | 63-47 | 9 |
| 3.ბელგია | 3 | 1 | 0 | 2 | 61-113 | 6 |
| 4.ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 48-59 | 5 |
| 5.რუმინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 48-70 | 4 |
| 6.რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 43-87 | 4 |

# შედეგები

## 22 თებერვალი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-ტოტენჰემი ... 2:1
ბარნლი-ბორნმუთი ... 3:0
კრ.პალასი-ნიუკასლი ... 1:0
საუთჰემპტონი-ასტონ ვილა ... 2:0
შეფილდი-ბრაიტონი ... 1:1
ლესტერი-სიტი ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 26 | 25 | 1 | 0 | 61-15 | 76 |
| 2.სიტი | 27 | 18 | 3 | 6 | 68-29 | 57 |
| 3.ლესტერი | 26 | 15 | 4 | 7 | 54-27 | 49 |
| 4.ჩელსი | 27 | 13 | 5 | 9 | 45-37 | 44 |
| 6.ტოტენჰემი | 27 | 11 | 7 | 9 | 44-36 | 40 |
| 6.შეფილდი | 27 | 10 | 10 | 7 | 29-25 | 40 |
| 7.მანჩესტერი | 26 | 10 | 8 | 8 | 38-29 | 38 |
| 8.ბარნლი | 27 | 11 | 4 | 12 | 33-39 | 37 |
| 9.ევერტონი | 26 | 10 | 6 | 10 | 34-38 | 36 |
| 10.ვულვზი | 25 | 8 | 11 | 6 | 35-32 | 35 |
| 11.არსენალი | 26 | 7 | 13 | 6 | 36-34 | 34 |
| 12.საუთჰემპტონი | 27 | 10 | 4 | 13 | 34-48 | 34 |
| 13.კრ.პალასი | 27 | 8 | 9 | 10 | 24-32 | 33 |
| 14.ნიუკასლი | 27 | 8 | 7 | 12 | 24-41 | 31 |
| 15.ბრაიტონი | 27 | 6 | 10 | 11 | 32-39 | 28 |
| 16.ბორნმუთი | 27 | 7 | 5 | 15 | 26-43 | 26 |
| 17.ასტონ ვილა | 27 | 7 | 4 | 16 | 34-52 | 25 |
| 18.ვესტ ჰემი | 26 | 6 | 6 | 14 | 30-45 | 24 |
| 19.უოტფორდი | 26 | 5 | 9 | 12 | 24-40 | 24 |
| 20.ნორვიჩი | 26 | 4 | 6 | 16 | 24-48 | 18 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრენტფორდი-ბლექბერნი ... 2:2
ბარნსლი-მიდლსბრო ... 1:0
ბირმინგემი-უენსდი ... 3:3
ბრისტოლი-ვესტ ბრომვიჩი ... 0:3
ლიდსი-რედინგი ... 1:0
ნოტინგემი-ქპრ ... 0:0
პრესტონი-ჰალი ... 2:1
სტოკი-კარდიფი ... 2:0
სუონსი-ჰადერსფილდი ... 3:1
უიგანი-მილუოლი ... 1:0
ჩარლტონი-ლუთონი ... 3:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

გლადბახი-ჰოფენჰაიმი ... 1:1
ვერდერი-დორტმუნდი ... 0:2
ჰერტა-კიოლნი ... 0:5
ფრაიბურგი-ფორტუნა ... 0:2
შალკე-ლაიფციგი ... 0:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 23 | 15 | 4 | 4 | 65-26 | 49 |
| 2.ლაიფციგი | 23 | 14 | 6 | 3 | 61-25 | 48 |
| 3.დორტმუნდი | 23 | 13 | 6 | 4 | 65-32 | 45 |
| 4.გლადბახი | 22 | 13 | 4 | 5 | 43-25 | 43 |
| 5.ლევერკუზენი | 22 | 12 | 4 | 6 | 38-29 | 40 |
| 6.შალკე | 23 | 9 | 9 | 5 | 32-32 | 36 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 23 | 10 | 4 | 9 | 34-36 | 34 |
| 8.ფრაიბურგი | 23 | 9 | 6 | 8 | 31-33 | 33 |
| 9.ვოლფსბურგი | 22 | 8 | 7 | 7 | 28-28 | 31 |
| 10.აინტრახტი | 22 | 8 | 4 | 10 | 36-35 | 28 |
| 11.აუგსბურგი | 22 | 7 | 6 | 9 | 34-45 | 27 |
| 12.კიოლნი | 22 | 8 | 2 | 12 | 33-42 | 26 |
| 13.უნიონი | 22 | 8 | 2 | 12 | 27-35 | 26 |
| 14.ჰერტა | 23 | 7 | 5 | 11 | 27-43 | 26 |
| 15.მაინცი | 22 | 7 | 1 | 14 | 31-48 | 22 |
| 16.ფორტუნა | 23 | 4 | 5 | 14 | 21-48 | 20 |
| 17.ვერდერი | 23 | 4 | 5 | 14 | 25-53 | 17 |
| 18.პადერბორნი | 23 | 4 | 4 | 15 | 29-50 | 16 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-ზ.პაული ... 0:2
დინამო-ბოხუმი ... 1:2
კილი-ჰაიდენჰაიმი ... 0:1
შტუტგარტი-რეგენსბურგი ... 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-ლეგანესი ... 1:0
ბარსელონა-ეიბარი ... 5:0
სოსიედადი-ვალენსია ... 3:0
ლევანტე-რეალი ... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 25 | 17 | 4 | 4 | 62-29 | 55 |
| 2.რეალი | 25 | 15 | 8 | 2 | 46-17 | 53 |
| 3.ხეტაფე | 24 | 12 | 6 | 6 | 36-22 | 42 |
| 4.სოსიედადი | 24 | 12 | 4 | 8 | 42-31 | 40 |
| 5.ატლეტიკო | 24 | 10 | 10 | 4 | 25-17 | 40 |
| 6.სევილია | 24 | 11 | 7 | 6 | 31-25 | 40 |
| 7.ვილიარეალი | 24 | 11 | 5 | 8 | 42-32 | 38 |
| 8.ვალენსია | 25 | 10 | 8 | 7 | 35-37 | 38 |
| 9.გრანადა | 24 | 10 | 3 | 11 | 29-31 | 33 |
| 10.ლევანტე | 25 | 10 | 2 | 13 | 31-36 | 32 |
| 11.ბილბაო | 24 | 7 | 10 | 7 | 23-20 | 31 |
| 12.ოსასუნა | 24 | 7 | 10 | 7 | 31-32 | 31 |
| 13.ბეტისი | 25 | 7 | 9 | 9 | 35-40 | 30 |
| 14.ალავესი | 24 | 7 | 6 | 11 | 25-34 | 27 |
| 15.ვალიადოლიდი | 24 | 5 | 11 | 8 | 20-27 | 26 |
| 16.ეიბარი | 23 | 6 | 6 | 11 | 22-32 | 24 |
| 17.სელტა | 25 | 5 | 9 | 11 | 22-34 | 24 |
| 18.მალიორკა | 25 | 6 | 4 | 15 | 26-42 | 22 |
| 19.ლეგანესი | 25 | 4 | 7 | 14 | 18-39 | 19 |
| 20.ესპანიოლი | 24 | 4 | 7 | 13 | 21-42 | 19 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ლას პალმასი ... 1:1
ალმერია-ფუენლაბრანდა ... 0:0
ხირონა-პონფერადინა ... 2:0
ტენერიფე-ელჩე ... 1:0
ალბასეტე-ნუმანსია ... 2:1

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-უდინეზე ... 1:1
სპალი-იუვენტუსი ... 1:2
ფიორენტინა-მილანი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 25 | 19 | 3 | 3 | 48-24 | 60 |
| 2.ლაციო | 24 | 17 | 5 | 2 | 55-21 | 56 |
| 3.ინტერი | 24 | 16 | 6 | 2 | 49-22 | 54 |
| 4.ატალანტა | 24 | 13 | 6 | 5 | 63-32 | 45 |
| 5.რომა | 24 | 11 | 6 | 7 | 43-32 | 39 |
| 6.მილანი | 25 | 10 | 6 | 9 | 27-32 | 36 |
| 7.ნაპოლი | 25 | 10 | 6 | 9 | 39-35 | 36 |
| 8.ვერონა | 24 | 9 | 8 | 7 | 28-24 | 35 |
| 9.პარმა | 24 | 10 | 5 | 9 | 32-30 | 35 |
| 10.ბოლონია | 25 | 9 | 7 | 9 | 38-40 | 34 |
| 11.კალიარი | 24 | 8 | 8 | 8 | 38-36 | 32 |
| 12.სასუოლო | 24 | 8 | 5 | 11 | 38-39 | 29 |
| 13.ფიორენტინა | 25 | 7 | 8 | 10 | 32-36 | 29 |
| 14.ტორინო | 24 | 8 | 3 | 13 | 27-43 | 27 |
| 15.უდინეზე | 25 | 7 | 6 | 12 | 21-37 | 27 |
| 16.ლეჩე | 24 | 6 | 7 | 11 | 32-45 | 25 |
| 17.სამპდორია | 24 | 6 | 5 | 13 | 25-43 | 23 |
| 18.ჯენოა | 25 | 5 | 7 | 13 | 28-45 | 22 |
| 19.ბრეშა | 24 | 4 | 4 | 16 | 21-44 | 16 |
| 20.სპალი | 25 | 4 | 3 | 18 | 19-44 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

ვირტუსი-ბენევენტო ... 0:4
ტრაპანი-სპეცია ... 1:1
ჩიტადელა-იუვე სტაბია ... 3:0
პიზა-ვენეცია ... 1:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მარსელი-ნანტი ... 1:3
ანჟე-მონპელიე ... 1:0
დიჟონი-მონაკო ... 1:1
ლილი-ტულუზა ... 3:0
სტრასბური-ამიენი ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 25 | 21 | 2 | 3 | 67-21 | 64 |
| 2.მარსელი | 26 | 15 | 7 | 4 | 36-25 | 52 |
| 3.ლილი | 26 | 13 | 4 | 9 | 33-27 | 43 |
| 4.რენი | 25 | 12 | 5 | 8 | 29-23 | 41 |
| 5.მონაკო | 26 | 11 | 6 | 9 | 42-41 | 39 |
| 6.სტრასბური | 26 | 11 | 5 | 10 | 32-29 | 38 |
| 7.ლიონი | 26 | 10 | 7 | 9 | 40-26 | 37 |
| 8.ნანტი | 26 | 11 | 4 | 11 | 28-28 | 37 |
| 9.მონპელიე | 26 | 10 | 7 | 9 | 32-29 | 37 |
| 10.ნიცა | 26 | 10 | 7 | 9 | 38-36 | 37 |
| 11.რეიმსი | 25 | 9 | 9 | 7 | 23-19 | 36 |
| 12.ბრესტი | 26 | 8 | 10 | 8 | 34-35 | 36 |
| 13.ბორდო | 25 | 9 | 8 | 8 | 35-28 | 35 |
| 14.ანჟე | 26 | 9 | 6 | 11 | 25-33 | 33 |
| 15.მეცი | 26 | 6 | 10 | 10 | 24-34 | 28 |
| 16.სტ.ეტიენი | 25 | 8 | 4 | 13 | 27-41 | 28 |
| 17.ნიმი | 25 | 7 | 6 | 12 | 25-37 | 27 |
| 18.დიჟონი | 26 | 6 | 9 | 11 | 24-32 | 26 |
| 19.ამიენი | 26 | 4 | 10 | 12 | 29-47 | 22 |
| 20.ტულუზა | 26 | 3 | 4 | 19 | 21-54 | 13 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-კაენი ... 1:4

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ემენი-ტილბურგი ... 4:2
ფეინოორდი-სიტარდი ... 2:1
ჰერენვენი-დენ ჰააგი ... 2:2
გრონინგენი-ვენლო ... 0:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ტონდელა-რიუ ავე ... 1:2
ბელენენსეში-მარიტიმუ ... 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

თუნი-ლუცერნი ... 1:1
ციურიხი-ქსამაქსი ... 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-როსი ... 1:2
ჰამილტონი-მოზერველი ... 0:0
ჰიბერნიანი-ლივინგსტონი ... 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-შტურმი ... 0:2
ტიროლი-ვოლფსბერგერი ... 2:0
მატერსბურგი-ალტახი ... 0:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

სტანდარდი-ანტვერპენი ... 1:0
ოსტენდე-ვარეგემი ... 1:1
მუსკრონი-სერკლი ... 0:1
მეხელენი-ბევერენი ... 4:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-პანათინაიკოსი ... 1:1
ლამია-არისი ... 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-ქონია ... 2:2
გიოზთეფე-გაზიანთეფი ... 1:1
ბეშიქთაში-ტრაბზონი ... 2:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბოლესლავი-სლოვაცკო ... 0:0
სლავია-ოპავა ... 2:0
ლიბერეცი-ბოჰემიანსი 1905 ... 3:1
პლზენი-პრჟიბრჟამი ... 4:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

არკა-ჩენსტოხოვა ... 3:2
ლეგია-იაგელონია ... 4:0
პიასტი-კრაკოვია ... 1:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მარიუპოლი-ზორია ... 1:2
დინამო-ვორსკლა ... 2:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# კროსვორდი



1. ფარული დაცინვა; 2. იაპონური თეატრი; 3. „... ვხედავ მზეს“; 4. შავი ზღვისპირა კურორტი; 5. რტო; 6. ... ზოლა; 7. რ.ჩხიკვაძის სცენური როლი; 8. ... ჩიბურდანიძე; 9. რძის პროდუქტი; 10. ნაკურთხი წყალი; 11. ფრანგი მწერალი (XXI ს.); 12. ერთეული ვექტორი; 13. ხელოვნური ენა; 14. რამდენიმე წყვილის ფრანგული ცეკვა; 15. ს.თაყაიშვილის კინოროლი; 16. ისრის წვერი; 17. გერმანელი ასტრონომი (1791-1865); 18. ივლისი; 19. დიდი ფრინველის ნარნარი ფრენა; 20. კოლხი მედეას დედა; 21. საკიდარი ქვაბი; 22. ... ტაიმანოვი (მოჭადრაკე); 23. უძველესი ინდური ეპოპეა; 24. სპორტული ცურვის სტილი; 25. მუდმივა: 3.14; 26. „... და მარგარიტა“; 27. მექსიკელთა ღვთაება, რომელსაც ადამიანს სწირავდნენ; 28. პარკოსანი მცენარე; 29. პერუელი ინკების კვანძოვანი დამწერლობა; 30. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 31. მაუგლის მეგობარი პითონი; 32. რისამე დედააზრი; 33. ძველ ეგვიპტელთა საწერი მასალა; 34. იმთავითვე, ცდის გარეშე; 35. ტროპიკული ხე სურნელოვანი ნაყოფით; 36. ბოლო ნოტი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 2. ნეირატი; 3. ლუიზიანა; 4. ამაშუკელი; 5. ვაიდა; 6. ალგეთი; 8. ყმუილი; 11. დენტინი; 14. იერუსალიმი; 15. მუსტანგი; 16. ჰუმანიზმი; 17. კარტიე; 19. ინვაზია; 21. ცაიში; 22. ჩორდი.

**თარაზულად:** 1. ენოლოგია; 5. ვეძა; 7. ბაყალი; 9. ცივილიზაცია; 10. გუდაური; 12. ათანელი; 13. ამერიკა; 16. ჰონოლულუ; 17. კაჟი; 18. ციცქა; 20. აქსაკალი; 22. ჩანგი; 23. პალიტრა; 24. ზღარბი; 25. შრომა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხანჯლური; 2. სელბი; 3. მჭედლიძე; 4. ჟიგული; 7. ეკერი; 9. პიეტა; 12. ბრანდვახტი; 14. დიქცია; 15. მარაბდა; 17. ჰოოპუნა; 20. უწერა.

**თარაზულად:** 5. ბაბუშერა; 6. კაჭკაჭი; 8. გობსეკი; 10. კირჩხიბი; 11. გრაცია; 13. მწევარი; 16. პარალიზი; 18. ჰონდა; 19. ორგია; 21. რწყილი; 22. ოდომეტრი; 23. გრანიტი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


24 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8299

ევრო — 3.0571

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6537

100 რუსული რუბლი — 4.3980

## ამინდის პროგნოზი 24 თებერვლისთვის







## 25 თებერვლიდან

მამა გაბრიელი – 90

# პირველთა შორის უკანასკნელი

## ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## ავაზა ანტილოპას ზურგზე მოახტა და გააჭენა



კენიის ეროვნულ ნაკრძალ მასაი-მარაში ნიდერლანდელმა ფოტოგრაფმა ფოტოსურათების სერია გადაიღო, რომელზეც აღბეჭდილია, თუ როგორ მიქრის სავანაში ანტილოპის ზურგზე შემომჯდარი ავაზა.

34 წლის ფოტოგრაფი დიკ ვან დუინი საფარიზე იმყოფებოდა და თვალს ადევნებდა ხუთ ძმა ავაზას, რომლებიც „სწრაფი ხუთეულის" სახელით არიან ცნობილი. საფარის მონაწილეებმა დაინახეს, თუ როგორ მიდიოდნენ მაღალ ბალახში მტაცებელი ცხოველები, შემდეგ კი ანტილოპა ტოპი შენიშნეს და მასთან შეძლებისდაგვარად ახლოს მივიდნენ.

– ტოპი მაღალი ბალახის გამო ვერ ხედავდა ავაზებს. ჩვენი მძღოლი შეეცადა, ახლოს მისულიყო ანტილოპებთან, რათა ნადირობისთვის თვალი გვედევნებინა. სამწუხაროდ, მათგან მაინც შორს ვიყავით, ვინაიდან, უფრო ახლოს რომ მივსულიყავით, დავაფრთხობდით. ისინი საკმაოდ ჭკვიანები არიან და იციან, როდესაც საფარი-ჯიპი უახლოვდებათ, იქ, ახლოს, შესაძლოა, მტაცებელი იყოს ჩასაფრებული, – ყვება ვან დუინი.

შემდეგ ავაზა ანტილოპას გაეკიდა. როდესაც წამოეწია, ზურგზე შეახტა და გარკვეული დროის განმავლობაში ასე ამხედრებულმა იმგზავრა, სანამ საბოლოოდ ტოპის მიწაზე დააგდებდა. შემდეგ კი ანტილოპას დანარჩენი ავაზებიც შემოეხვივნენ.

## ქალს სოლარიუმში გარუჯვა ყურის დაკარგვად დაუჯდა



ინგლისის დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ ბოლტონის მცხოვრები ქალბატონი სოლარიუმში გარუჯვით გატაცებამ ყურის გარეშე დატოვა.

ანტეა სმიტი 14 წლის ასაკიდან გასარუჯად რეგულარულად დადიოდა სოლარიუმში.

– მავნე ჩვევა მქონდა, გარუჯვა და მუდმივად გარუჯულ მდგომარეობაში ყოფნა, – განაცხადა ინგლისელმა ქალმა, – ამისთვის უმთავრესად სოლარიუმით ვსარგებლობდი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში უფრო სწრაფად ხდება გარუჯვა. მისი თქმით, არ იცოდა, თუ ულტრაიისფერი დასხივება კანის კიბოს განვითარებას უწყობდა ხელს.

44 წლის ასაკში გარუჯვის მოყვარულს მელანომა აღმოუჩინეს, რომელმაც მისი მარცხენა ყური დააავადა. ამის შემდეგ მას ორი ქირურგიული ოპერაციის გადატანა მოუხდა, რომლის დროსაც ყურის ნიჟარა, შიდა ყური, ლიმფური კვანძები, ნერწყვის გამომყოფი ჯირკვლები და ყვრიმალის ძვალი მოაცილეს.

მართალია, სმიტი ცოცხალი დარჩა, მაგრამ აღარ ესმის მარცხენა ყურში, გართულებები აქვს სამეტყველო აპარატის ფუნქციონირებაში. გარდა ამისა, კიბოს დაბრუნების რისკი არ არის მოხსნილი.

– არავის ვუსურვებ იმავეს გადატანას, რისიც მე მომიხდა, – განაცხადა სმიტმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 24 თებერვლისთვის



**ვერძი** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – ზედმეტი თავდაჯერებულობაც და გაუბედაობაც დაგაზარალებთ. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყარო გაგიჩნდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

•••

მამაკაცს ნაცნობი ეუბნება:

– პირდაპირ აღფრთოვანებული ვარ თქვენი და თქვენი მეუღლის ურთიერთობით...

– რას გულისხმობთ?

– უკვე 20 წელია, ცოლ-ქმარი ხართ და ქუჩაში ისევ ისე ხელიხელჩაკიდებულები დადიხართ.

– აბა, რა ვქნა, რამდენჯერაც ხელი გავუშვი, იმდენჯერ მაღაზიაში შევარდა და რაღაცა იყიდა.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– დღეს ექიმთან ვიყავი და ზღვაზე დასვენება მირჩია. რა ვქნა, შენ რას მირჩევ?

– სხვა ექიმს გაესინჯე...

•••

ცოლი ქმარს ჯუჯა ქალთან შეუსწრებს და გაცეცხლებული ეუბნება:

– შე დამპალო, ხომ შემპირდი, აღარ გიღალატებო?!

– ვერ ხედავ, თანდათან ვანებებ თავს...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი აზრით, როგორია წესიერი ქალი?

– წესიერია ის, რომელიც ერთ მამაკაცზე მეტის გაუბედურებას არ ცდილობს.

•••

კაცი გოგონას ეუბნება:

– გოგონი ისე მიყურებთ, თითქოს თქვენი მშობლები აგარაკზე იყვნენ წასულები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ზაზა ხალვაშის „ნამე" კინოთეატრებში დაბრუნდა



მოულოდნელად გარდაცვლილი რეჟისორის ზაზა ხალვაშის მიერ გადაღებული უკანასკნელი ფილმი „ნამე" საქართველოს კინოთეატრებში დაბრუნდა.

მაყურებელს საქართველოს მიერ ოსკარზე ნომინირებული ფილმის ნახვა კინოთეატრებში უკვე შეუძლია.

„ნამეს" არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის ჯილდო აქვს მოპოვებული, ფილმის ოპერატორი გიორგი შველიძე კი ამერიკის კინემატოგრაფისტთა ჯილდოს მფლობელი გახდა და ამერიკის კინოაკადემიის წევრადაც აირჩიეს.

## ქეთი დოლიძე სასამართლოში ჩივილით იმუქრება



კინორეჟისორი ქეთი დოლიძე სასამართლოში ჩივილით იმუქრება. ამის მიზეზი მამის, კინორეჟისორ სიკო დოლიძის მიერ გადაღებული ფილმი „ფატიმაა", რომელსაც ოსები ისაკუთრებენ.

„მეტი, ვიდრე კინო" – ასეთი სათაურით გავრცელდა ინტერნეტში სტატია, სადაც ფილმ „ფატიმას" რეჟისორად სიკო დოლიძის ნაცვლად ოსი რეჟისორი ვლადიმერ ვალიევია (ვალიშვილი) მოხსენიებული.

ფილმთან დაკავშირებით იგივე ინფორმაციაა განთავსებული ვიკიპედიაშიც. „ფატიმას" კომპოზიტორად კი არჩილ კერესელიძის ნაცვლად ბორის გალაევია მითითებული.

**ქეთი დოლიძე:**

– გააფრინეთ?! ეს არის მხოლოდ და მხოლოდ სიკო დოლიძის ფილმი! როგორ ბედავთ, ასე იცრუოთ?

მუსიკა არჩილ კერესელიძის დაწერილია. მორჩით ტყუილებს! სასამართლოში გიჩივლებთ!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ქალს ლატარიის ბილეთის იმპულსურად შეძენამ მილიონები მოუტანა



ავსტრალიის ვიქტორიის შტატის ქალაქ მელბურნის მცხოვრები ქალბატონი ამტკიცებს, რომ ლატარიის ბილეთის იმპულსურად შეძენამ ის მულტიმილიონერად აქცია. ინკოგნიტოდ დარჩენის მსურველმა ქალმა ლატარიის ბილეთი ლატარიის ოფიციალურ ვებგვერდზე შეიძინა. 15 თებერვალს მან გათამაშების შედეგები შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ მისი გამარჯვებული გახდა.

– მაშინვე გავიფიქრე: აუუ, ეს შეუძლებელია! ასეთი რამ არ ხდება, – იხსენებს ავსტრალიელი, რომელსაც რიცხვების კომბინაციამ 4-24-21-3-11-39 2,5 მილიონი ავსტრალიური დოლარის მოგება მოუტანა.

– ეს ლატარიის ჩემი პირველი თამაში იყო ბოლო რამდენმე თვის განმავლობაში, – აცხადებს ლატარიის გამარჯვებული, – ყოველთვის წარმოვიდგენდი, თუ როგორი მაგარი იქნებოდა ჯეკპოტის მოხსნა და ოჯახის დახმარება.

მოგებული ფულით ქალი დედისთვის იპოთეკის დაფარვას, საკუთარი სახლის ყიდვასა და სამოგზაუროდ წასვლას გეგმავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გრიგალაშვილმა დიუსელდორფს გრიგალივით გადაუფრინა



დიუსელდორფის გრან პრიზე საქართველოს დელეგაციამ პირველი ოქროს მედალი მოიპოვა. 81 კგ წონით კატეგორიაში ბრწყინვალედ გაისარჯა ტატო გრიგალაშვილი, რომელმაც პირველობა არავის დაუთმო. 20 წლის ძიუდოისტმა ოქროსკენ მიმავალი გზა მსოფლიოს ჩემპიონის ძლევით დაიწყო და ოლიმპიურ ჩემპიონთა მოგებით დაასრულა.

ტატომ ასპარეზობა ხმაურიანად დაიწყო და პირველივე შეხვედრაში იაპონელი ტაკანორი ნაგასე დაამარცხა. ამას იტალიელ ანტონიო ესპოზიტოსთან, გერმანელ ალექსანდერ ვაიჩერჟაკთან და ფრანგ ალფა ჯალოსთან გამარჯვებები მოჰყვა.

შედეგად ნახევარფინალში გავიდა, სადაც ყირგიზი ვლადიმირ ზოლოევი დაამარცხა, ხოლო ფინალში რუს ხასან ხალმურზაევს აჯობა და ოქროს მედალს დაეუფლა.

**ტატო გრიგალაშვილი:**

– უპირველეს ყოვლისა, ყველას დიდი მადლობა ქომაგობისთვის. დიუსელდორფის გრანდ სლემისთვის მოტივირებული და მომზადებული ვიყავი, საჩემპიონოდ ვიყავი განწყობილი – მსოფლიოს 2 ჩემპიონსა და ოლიმპიურ ჩემპიონს მოვუგე, რომლებიც მოტივაციას მაძლევდნენ.

66 კგ წონით კატეგორიაში ვაჟა მარგველაშვილი ვერცხლის მედალს დაეუფლა. ქართველმა ძიუდოისტმა ფინალამდე ალჟირელი ვალ ეზინი, ჩეხი პაველ პეტრიკოვი, ყაზახი იერლა სერიკჟანოვი, აზერბაიჯანელი ორხან საფაროვი დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში რუს იაკუბ შამილოვს აჯობა. ფინალში ჩვენებურის მეტოქე იყო იაპონელი ჰიფუმი აბე, რომელთანაც ვერაფერი გააწყო და ვერცხლს დასჯერდა.

ამავე წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავა ბაგრატ ნინიაშვილმა, თუმცა მარგველაშვილის ძლეულ შამილოვთან წააგო და უმედლოდ დარჩა.

60 კგ წონით კატეგორიაში იგივე გზა განვლო თემურ ნოზაძემ, მაგრამ ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში ნიდერლანდების სახელით მოასპარეზე ქართველ თორნიკე ჭკადუასთან მარცხი განიცადა. იმავე წონით კატეგორიაში ამირან პაპინაშვილი ასპარეზობას ადრეულ ეტაპზე გამოეთიშა.

73 კგ წონით კატეგორიაში კი ფრიდონ გიგანი და ლაშა შავდათუაშვილი დარჩნენ უმედლოდ.

81 წონით კატეგორიაში ნუგზარ ტატალაშვილი ასპარეზობდა, მაგრამ მეორე წრეში დამარცხდა.

დიუსელდორფის ტატამზე კიდევ 6 ქართველი ძიუდოისტი გავა. 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბექა ღვინიაშვილი ერლან შეროვისა და ალი ჰაზემის შორის გამარჯვებულს შეხვდება, ხოლო ლაშა ბექაური ალექსეი ზარუდნევსისა და რემი ფეულის შორის უმჯობესს დაეჭიდება.

100 კგ წონაში გიორგი ჩიქოვანის მეტოქე კენიელი ჯოზეფ ირუნგუ იქნება, ნიაზ დიასამიძე აზერბაიჯანელ ელდარ გასიმოვს შეხვდება.

მძიმე წონაში გურამ თუშიშვილს მეტოქედ უზბეკი ალიშერ იუსუპოვი ერგო, ხოლო ონისე ბუღაძეს – გერმანელი იონას შრაიბერი.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 5. ზღვის მტაცებელი თევზი; 6. მევალე, ფულის გამცემი; 9. ზღვის სარეწაო თევზი; 10. ქაღალდის ფულის გამოშვება; 11. ალკოჰოლური სასმელი; 13. ვარდის „მცველი"; 15. ქალაქი არგენტინაში; 18. ვერცხლის ათცენტიანი მონეტა აშშ-ში; 21. სევდიანობა, უიმედობა; 22. კანის გაწითლება სისხლის მოწოლის შედეგად; 23. დიდი ინგლისელი ფიზიკოსი.

**შვეულად:** 1. მდინარე აფრიკაში; 2. ... დიტრიხი; 3. მოჭადრაკეთა შეფასების სისტემა; 4. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 7. მისტერიების გამგებელი ქურუმი ძველ საბერძნეთში; 8. საზაფხულო კაბა; 12. ქირურგიული დანა; 14. ორგანიზაციის მმართველი; 16. ქალაქი კანადაში; 17. ტეხილი ხაზი; 19. განსჯის პროდუქტი; 20. თურქი მწერალი და ჟურნალისტი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

